www.24saati.ge

# 24 საა

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი 28 დეკემბერი, 2009 წელი. №284 (2322)

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

## ირანში გამოსვლების დარბევას მსხვერპლი მოჰყვა

A6



## 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენად მანუჩარ ცხადაია დაასახელეს

A13



გაერთიანებული ტელეკომი

„გაერთიანებული ტელეკომის" საახალწლო აქცია - ინტერნეტის უფასო ინსტალაცია ერთი თვის განმავლობაში

A4

# სითბო და სი

ნოდარ ლადარია

კარლ ჰაინრიხ მარქსი ეკამათებოდა იმ დროისათვის უკვე კარგა ხნის გარდაცვლილ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს. კამათის ერთ-ერთი მომენტი ის იყო, რომ, მარქსის აზრით, კონსტიტუცია კი არ ქმნის ხალხს (როგორც ჰეგელი ფიქრობდა), არამედ ხალხი ქმნის კონსტიტუციას. ალბათ ამ საკითხის გადასაწყვეტად იქიდან უნდა დაგვეწყო მსჯელობა, თუ რა საზრისს ანიჭებდა თითოეული მოკამათე სიტყვას "ქმნის". მაგრამ ახლა ამის დრო არა გვაქვს... მხოლოდ ერთ რამეს აღვნიშნავთ, რომ წინადადება "კონსტიტუცია ქმნის ხალხს", ერთი შეხედვით, მეტაფორაა, ხოლო წინადადება "ხალხი ქმნის კონსტიტუციას", ასევე ერთი შეხედვით პოპულიზმი და დემაგოგია...

მაგრამ აქ უნდა შევჩერდე და კვლავ გავიხსენო ჩემი კამათი ერთ ჭკვიან კაცთან, რომელიც მიმტკიცებდა, რომ არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება. თავისთავად, ბრძნული რჩევაა, გაგრძელებაც რომ არ ჰქონდეს.

გაგრძელე
ჭიროა შე
ბობს წარმ
ნია "ფოქს
ვე წარმატ
საკმარისი
ლიმე მათ
რანტირებ
ზე, რომ ა
საბამისად
ჭკვიანი კ
მაგას რა მ
მიანს იქა
ორი ფეხი
მაგრამ
თავი და ფ

# თბილისელი ბიჭე

## არც თეატრი, არც ე

სოფო კილასონია

ტაში ყველამ დაუკრა. ეს ტრადიციის თანახმდაც მოხდა და ეიფორიისგანაც. როცა სპექტაკლი მთავრდება, როგორიც არ უნდა იყოს ის... თავს იხრიდნენ ნარკომანები, გონებაშეზღუდულები, ფსიქიკაშერყეული მოზარდები, ადამიანები, ვისთვისაც ყველაფერი სულ ერთია - თანამედროვე ქართველი ადამიანები.

მათ გარდა, ვინც საკუთარი მეგობრებისა და მეზობლების პროტოტიპების სცენაზე დანახვით იხალისა, აღშფოთებულებიც იყვნენ. ყველას ჰქონდა თავისებური მიზეზი. თუმცა მგონია, რომ რეჟისორისა და პიესის ავტორისთვის, გიო მგელაძისთვის აღშფოთებულთა რეაქცია, ანუ აღშფოთება უნდა ყოფილიყო ყველაზე სასურველი და მოსალოდნელი შედეგი.

გაილიმეთ ჩიტი გამოფრინდება - საკმაოზე დიდხანს ამზადებდნენ რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტალურ სცენაზე ამ წარმოდგენას. სანამ მუშაობას დაიწყებდნენ, გიო მგელაძის ჩანაფიქრი მასპინძელი თეატრის სპექციალურმა



### ქობულეთში ავარია მსხვერპლით დასრულდა

ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე გუშინ ღამის სამ საათზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა.

"ჯი-ეიჩ-ენ" - ის ცნობით, ერთმანეთს "ფორდი-სა" და მერსედერსის" მარკის ავტომანქანები შეეჯახა. ავარიის შედეგად ორი ადამიანი ადგილზევე გარდაიცვალა. ხუთი დაშავდა, ერთ-ერთი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ის ბათუმის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია გადაყვანილი.

დაღუპულებიც და დაშავებულებიც სამხედრო მოსამსახურეები არიან. ისინი შვებულებაში იმყოფებოდნენ. გუშინვე ბათუმში მყოფი ოთხი დაშავებული გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

### საქართველოს ეროვნულ გვარდიას ახალი ბაზა აქვს

თბილისში საქართველოს ეროვნული გვარდიის ახალი ბაზა გაიხსნა, რომლის ცერემონიალსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრო.

აქამდე ეროვნული გვარდია თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი დანაყოფის ძველ შენობაში იყო განთავსებული. ბაზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო.

სააგენტო "მედიანიუსის" ინფორმაციით, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის ახალი კომპლექსი სამი ძირითადი შენობისგან შედგება: შტაბი (ადმინისტრაცია), მართვის ოფისი და სასადილო. ასევე, საერთო ინფრასტრუქტურაში შედის სპორტული კომპლექსი: სატრენაჟორო დარბაზი და სტადიონი. აღსანიშნავია, რომ ბაზა რეზერვისტებსაც მოემსახურება.

### ბელარუსის საეგზარქოსოს დელეგაციის საქართველოში ვიზიტი დასრულდა

ხუთკაციანი დელეგაცია, რომელსაც სრულიად ბელარუსის ეგზარქოსი, მინსკისა და სლუცკის მიტროპოლიტი ფილარეტი ხელმძღვანელობდა, სამშობლოში გუშინ გაემგზავრა.

სააგენტო "პირველის" ინფორმაციით, ბოლარუსის ეკლესიის დელეგაცია საქართველოს 24 დეკემბერს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ინტრონიზაციის დღესთან დაკავშირებით ეწვია. 25 დეკემბერს მიტროპოლიტმა ფილარეტმა სამების საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვაში მიიღო მონაწილეობა.

გარდა ამისა, ბელორუსმა სტუმრებმა მცხეთა და ბოდბე მოილოცეს და სიღნაღი დაათვალიერეს.

### ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. ღორის გრიპის 30 ახალი შემთხვევაა

სოხუმში საავადმყოფოში ე.წ. ღორის გრიპის სიმპტომებით გუშინ კიდევ 30 მოზარდი მოათავსეს. ოკუპირებულ აფხაზეთში ამ დრომდე არ არსებობს დიაგნოსტიკური ლაბორატორია, რომელიც ახალი ტიპის ვირუსის დადასტურებას შეძლებს, შეტანილი არ არის მედიკამენტებიც. საავადმყოფოებს არ აქვთ სასუნთქი აპარატები, რომელიც რამდენიმე

# „ქართული აკადემ ინიციატივებით

*"ქართული აკადემია" ინიციატივით გამოდის და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესში აქტიურად ჩართვისკენ მოუწოდებს. როგორც "24 საათს" "ქართული აკადემიის" წარმომადგენელმა ნუკრი ქანთარიამ განუცხადა, ისინი თებერვლიდან დაიწყებენ ხელმოწერების შეგროვებას - ხელისუფლებისგან მოითხოვენ გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ჯანსაღი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა მერის არჩევა 50+1 ბარიერის პირობებში.*

ქართული აკადემიის შეფასებით, არსებულ რთულ ვითარებაში აუცილებელია, სამოქალაქო საზოგადოებამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გამოიჩინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებლია ქვეყანაში პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწიოს და პროცესი კანონიერების ჩარჩოდან გამოვიდეს.

ნუკრი ქანთარიას აზრით, იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო გარემო არ გაჯანსაღდება, თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება აზრს კარგავს, ვინაიდან შედეგად გაყალბებულ არჩევნებს მივიღებთ.

მიუკერძოებელი და ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად ქართული აკადემია მოთხოვს მერის არჩევნების ჩატარებას 50+1 საარჩევნო ბარიერით, რაც არჩეული მერის ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს.

მედიის თავისუფლება, პოლიტიკური ძალების თანაბარ პირობებში ჩაყენება, ხელისუფლების შეზღუდვა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება სამართლიანობის და პარიტეტის საფუძველზე, - ეს ის ძირითადი მოთხოვნებია, რომელსაც ქართული აკადემია საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

**"ვიწყებთ სამოქალაქო კამპანიას ამ პრინციპების საარჩევნო პროცესში დასამკვიდრებლად და, შესაბამისად, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ერთიანი საკანონმდებლო ინიციატივით წარსადგენად, რისთვისაც ვაყალიბებთ საინიციატივო და იურიდიულ ჯგუფებს კონკრეტული აქტიურობების დასაგეგმად და განსახორციელებლად,"** - ნათქვამია ქართული აკადემიის მიერ გავრცელებულ სპეციალურ მიმართვაში.

ქართული აკადემია თხოვნით მიმართავს საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა

და დი
წარმო
უჭირო
მალურ
შესაქმ
ზოგად
ბულ ი

რო
ქანთარ
ასევე
ქებში მ
არჩევა

საა
სალბა
აუცილ
ოპოზი
წევას.
ლად უ
თო კა
მან ჩვე
ქანთარ
ლობა
მოახერ
ნი კან
პრაიმე
კების
მასშტა
კვლევე

ქა
ერთ სა
რადლე
აღმდეგ
არ კამ

აკა
ბოლო
ბა **მ**
**ირიბა**
**შუალე**
ცდილ
მია" ის
მოაჩინ
სუფლე

# საქართველოს საქ უშიშროების საბჭო არაე

საქართველოში არსებულ ვითარებას გაერო-ს უშიშროების საბჭო კიდევ არაერთხელ განიხილავს, - ამის შესახებ "რია ნოვოსტის" გაერო-ში დიდი ბრიტანეთის მუდმივმა წარმომადგენელმა მარკ ლაიალ გრანტმა განუცხადა.

"საქართველო უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში რჩება. ჩემი ვარაუდით, ამ საკითხს უშიშროების საბჭო არაერთხელ განიხილავს," - განაცხადა ლაიალ გრანტმა. მისივე შეფასებით, მიუღებელია ის პირობები, რომლებიც მოსკოვმა საქართველოს გაერო-ს მისიის აღდგენისთვის წამოაყენა.

"რუსეთის წინადადების სირთულე ის არის, რომ დასახელების თუ მანდატის ცვლილების ნიღბის ქვეშ სტატუსის

ცვლილ
ამას არ
დიდი ბ
ნელმა.

მის
ნეთი მ
ნადად
საქართ
მთლია
ტმა ას
როების

# გამოქვეყნებულ დე

# სითბო და სიყვარუ

პირველი გვერდიდან

მომავალ ორშაბათამდე!



აი, მაგალითად, ჩვენი საკონსტიტუციო კომისია წინა შაბათს გულმხურვალედ მსჯელობდა პარლამენტის პალატების სახელებზე. იყო წინადადება, ზედა პალატისათვის დაერქმიათ "დარბაზი", ქვედა პალატისათვის კი "კარავი". აბა, ამერიკელებს რომ ასეთი სითბოსა და სიყვარულის უნარი ჰქონოდათ, მაშინ კონგრესის პალატებს ხომ "სალუნი" და "ვიგვამი" დაერქმეოდა! თანაც რა საოცარი ასპარეზი ეხსნება პოლიტიკურ ბრძოლას, როგორ ბრწყინავს დემოკრატიის მონაპოვრები: მაგალითად, რესპუბლიკელები ზედა პალატის სათაურად "სალუნს", ანუ კოლტიანი მაგარი ბიჭების შესაკრებელს იგულისხმებდნენ, დემოკრატები კი, უმცირესობებისადმი პატივისცემის ნიშნად, "ვიგვამს"... მაგრამ არა: არ არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში საკუთარი ისტორიისადმი მოწიწება და სიყვარული!

თუმცა არც ისე მარტივადაა საქმე: ჩვენს კომისიასაც ოდნავ აკლია ისტორიული კონტექსტის გათვალისწინება. აბა, წარმოვიდგინოთ ასეთი ფრაზა რომელიმე საინფორმაციო გამოშვებიდან: "მომიტინგეები კარვის წინ კარვების გაშლით იმუქრებიან". გარდა იმისა, რომ მთლად გასაგები არ არის, დამეთანხმებით, რომ ტავტოლოგიური ელფერიც დაჰკრავს. თუმცა ქართველი ოპოზიციონერის თანდაყოლილ გემოვნებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარვებს მხოლოდ "დარბაზის" წინ გაშლიან, "კარვის" წინ კი მხოლოდ საკნებს დაამონტაჟებენ.

მაგრამ აქ როდი იწურება ჩვენი "სულ სხვა სითბო და სიყვარული"...

უკვე ყველამ იცის მნიშვნელობა სიტყვისა "კონსენსუსი". დავსძენ მხოლოდ, რომ ლათინურად ეს სიტყვა "ერთად გრძნობას" ნიშნავს. ახლა კი ვნახავთ, რომ ჩვენ გარდა სხვა ვერავინ ჩაწვდა ამ ტერმინის თავდაპირველ, ყველაზე უფრო ღრმა და საიდუმლო საზრისს. ჩვეულებრივ, გულისხმობენ, რომ კონსენსუსი ნიშნავს ისეთ ვითარებას, როცა ყველანი შეგნებულად იზიარებენ გარკვეულ ჭეშმარიტე-



ვენ შედეგის მისაღებად, ჩვენ საერთოდ არ გვჭირდება არაფერზე ფიქრი საკმარისია მხოლოდ აზრისა და სურვილის გამოთქმა...

ახლა კი კონკრეტულად ვნახოთ კანონშემოქმედებითი ღვაწლისა და ადგილობრივი "სითბოსა და სიყვარულის" უკვდავი ჰიბრიდი...

"12.2. საქართველოს მოქალაქემ იმავდროულად არ შეიძლება მიიღოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა.

12.2.1 საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს

ტი ამაყად გვამცნობს: "საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება". შვებით ამოისუნთქეთ, არა?

სიხარული ნაადრევია: უკვე მეორე პუნქტი ენაზე კბენასავით ჟღერს: "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი". ეს ბოლო ფრაზა განსაკუთრებით საყვარელია: "საკუთრება წაართვით, მაგრამ მის არსს ნუ შეეხებით".

მაგრამ ეგ როდი კმარა! მესა-

პრაღაში ხალ
ცხოვრობს, ჰ
იცხოვრეთო...
"აუცილებელი
საჭიროება"?

უფრო ქვე
ატეხილი სენა
და რესპუბლი
ვის") გარშემო
ვკითხულობთ:
განსაკუთრებ
მქონე ტერიტ
ლებისა და სხ
ერთეულებში
ერთმანდატებ
ოლქებში პირ
უფლების საფ
სენატორებისა
ლოს პრეზიდე
ნული 3 სენა
იგი, დანიშვნას
ვურჩით...
ხალხს უთქვამ
მა ღორმა ასი
მაგრამ ქართ
ერთი ღორი რ
დაც წვირიანი
რია საჭირო.
ვით, ვინ უნდა
რები?

განვაგრძო
კითხვა: "ერთ
რატიონთა სა
ფო დინასტიი
საგვარეულო
რას ნიშნავს
ქართველოს ს

არც ქართუ
და არც აზრი..
თა სენატორო
რძვი ბოლ
ლიტიკური კ
ყველას აქვს
სტომატოლოგ
ლოსნობა არ

# წელი, რომელმაც შეცვალა

პირველი გვერდიდან

ჩინური კალენდრით 2009 ხარის წელიწადი იყო, ეკონომიკური კალენდრით კი ის უეჭველად ჩინეთის წელიწადად შეიძლება ჩაითვალოს. გასული კვირა ამის ნათელი დადასტურებაა.

კვირის ბოლოს ჩინეთში გამოქვეყნდა 2008 წლის ეკონომიკური მაჩვენებლების დაზუსტებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ზრდამ შეადგინა 9,6%, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 9.0%-ისა. შეცდომის მიზეზად დასახელდა ის, რომ არ იყო სრულად გათვალისწინებული მონაცემები მომსახურების სფეროდან. მომსახურების სფერო ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის 41.8%-ს შეადგენს. შედარებისთვის, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში მომსახურების სფერო მთლიანი შიდა პროდუქტის გაცილებით დიდ ნაწილს შეადგენს. ბევრ ასეთ ქვეყანაში ის აღემატება 70%-ს. 2009 წლის პირველ სამ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკის ზრდამ 7.7% შეადგინა. ძალიან შთამბეჭდავია ჩინეთის სხვა მიღწევებიც. კერძოდ, ჩინეთის ეკონომიკა 2008 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთი დოლარის მისაღებად 5.2%-ით ნაკლებ ენერგიას ხარჯავდა, ვიდრე 2007 წელს. ენერგიის ეფექტურად და მომჭირნედ გამოყენება - ეს არის ჩინეთის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რადგან ქვეყნის მასშტაბებიდან და ეკონომიკური ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, ჩინეთს ენერგეტიკული დეფიციტის საშიშროება აქვს. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ უკვე უახლოეს დროში ჩინეთი იაპონიას გაუსწრებს და ეკონომიკური სიდიდით მეორე ქვეყანა გახდება. მართლდება იმ ეკონომისტების წინასწარმეტყველება, რომლებიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში წინასწარმეტყველებდნენ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში გლობალური ეკონომიკის წამყვანი რეგიონი წყნარი ოკეანის სანაპირო გახდება. ეს რეგიონი პირველობას ჩამოართმევს ატლანტიკური ოკეანის რეგიონს, რომელიც თითქმის კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე მსოფლიოს წამყვანი რეგიონი იყო.

გასულ კვირას ყურადღების ცენტრში მოექცა ცნობილი შვედური ბრენდი ვოლვო". ამერიკული ავტოგიგანტი ფორდ მოტორსი" 2010 წლისათვის მის გაყიდვას აპირებს. შესაძლო მყიდველად ჩინური გრილი" (Geely) სახელდება.

გარდა ამისა, ჩინეთის სახელმწიფო საავტომობილო კომპანიამ Beijing Automotive Industry Holding Corp. (BAIC) გამოაცხადა, რომ აპირებს დახარჯოს 4.83 მილიარდი დოლარი ახალი ავტომობილების გამოსაშვებად და ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად. როგორც ვხედავთ, ჩინელები თანმიმდევრულად იმტკიცებენ პოზიციებს მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე. წელს ჩინეთი მსუბუქი ავტომობილების ყველაზე დიდი ბაზარი გახდა მსოფლიოში. წელსვე ჩინელმა ავტოსამრეწველო კომპანიებმა უდიდესი აქტიურობა განავითარეს ახალი აქტივების შესაძენად. კრიზისით დაზარალებულ მსოფლიოში ისინი ყიდულობენ საწარმოებს, ტექნოლოგიებს, ბრენდებს. ალბათ, უკვე აღარავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ჩინეთი უახლოეს წლებში, თითქმის ყველა მაჩვენებლით, მსოფლიო ავტოინდუსტრიის ლიდერი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად ჩინური ეკონომიკის დიდი პროგრესისა, მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად მაინც რჩება ამერიკის შეერთებული შტატები და საეჭვოა ეს მდგომარეობა შეიცვალოს უახლოეს ათწლეულებში. ამიტომ სწორედ ამერიკულ ეკონომიკაში მიმავალი პროცესები იწვევს მსოფლიოს განსაკუთრებულ ინტერესს. გასული კვირა ამერიკაში აღინიშნა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით. ამერიკის სენატმა მიიღო ორი უმნიშვნელოვანესი ბილი. ერთი ეხებოდა სახელმწიფო ვალის ლიმიტის გაზრდას 12,104 მილიარდიდან 12,394-მდე. ამ ბილის მიღებას ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა ობამას ადმინისტრაციისათვის, რადგან უკვე წინა კვირას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის ოდენობამ თითქმის მიაღწია წინა ლიმიტით დაშვებულ ზღვარს.

სახელმწიფო ვალის ლიმიტის გაზრდა იყო კიდევ ერთი საბაბი ამერიკის ადმინისტრაციის მძაფრი კრიტიკისა რესპუბლიკელების და ეკონომისტის მხრიდან, რომელთაც ამერიკის საბიუჯეტო დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპები და მასშტაბები აშფოთებთ. მეორე საბაბი - ეს იყო ჯანმრთელობის დაცვის რეფორმასთან დაკავშირებული ბილი, რომელსაც ზოგიერთი ანალიტიკოსი ისტორიულს უწოდებს, რადგან მან მთელი ეს სისტემა კარდინალურად უნდა შეცვალოს. სოციალურ სფეროში მსგავსი მასშტაბების რეფორმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ჩატარებულა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, როდესაც მიღებული იქნა სოციალური უსაფრთხოების აქტი. ბილის ღირებულება დაახლოებით 871 მილიარდი დოლარია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ფედერალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. მიუხედავად მძაფრი კრიტიკისა, ორივე ბილი მიღებული იქნა სენატის მიერ 60 ხმით 39-ის წინააღმდეგ, რაც რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ძალთა თანაფარდობას ასახავს ამ სენატში.

საცხოვრებელი სახლების გაყიდვების ოდენობამ ნოემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში 355 ათასი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ექსპერტების მიერ პროგნოზირებულ 438 ათასს. ეს აპრილის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. აპრილში გაყიდვების ოდენობამ 445 ათასი შეადგინა. ნოემბრის ცუდი მონაცემების გათვალისწინებით 2009 წელს გაყიდული საცხოვრებელი სახლების ოდენობა 4 800 ათასზე ნაკლები იქნება. ანალიტიკოსების აზრით, გაყიდვების ოდენობის ასეთი მკვეთრი შემცირების მიზეზი არის ის, რომ აპრილის ბოლომდე გაგრძელებული იქნა ე.წ. საგადასახადო კრედიტის მოქმედება, რის გამოც ბევრმა პოტენციურმა მყიდველმა სახლის შეძენა შემდეგი თვეებისთვის გადადო. 8 000-დოლარიანი საგადასახადო კრედიტი გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლის მყიდველებისთვის და ამერიკის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ეკონომიკის სტიმულირების პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

კარგი ამბავი ამერიკის ეკონომიკისთვის იყო ის, რომ ახალ უმუშევართა რიცხვი წინა კვირაშიც დაეცა. პირველადი განცხადებით, უმუშევრობის დაზღვევის მისაღებად 452 000 ამერიკელმა მიმართა, როდესაც ექსპერტები 470 000-ს მოელოდნენ. თუ გავითვა-

ლისწინებთ იმას,
ბას უთმობენ ამ
ბის დონეს, ეს მ
პოზიტიური სიგნ
მიკისათვის.

შესაძლოა, სწ
სიგნალი იყო მი
რომელიც წინა კვ
დო ბაზრებზე სუ
შემდგომ მსოფლ
ბაზრებსაც გადაე
ლი კვირა საფო
რულ ნოტზე დაამ
საშუალო ინდუს
10,520 პუნქტზე დ
შეერთებულ შტა
მნიშვნელოვნად
ნოლოგიურ და მ
პორაციების აქცი
საკუთრებით მნი
ბრიტანეთის საფ
დაც აქციების ზრ
ნელოვანესმა ინ
სამდელ დონეს
მსოფლიოს ბევრ
ფასმა 2009 წელ
წლის ბოლო დღე

სავალუტო ბ
მა კვირამ მნიშვ
ბის გარეშე ჩაია
ლარმა წინა კვირ
ციები შეინარჩუნ
დაბალი კურსით
ნურ მთავრობას
ტიორებს. სასაქო
აიწია ნავთობის
წევს 80 დოლარის
გაიზარდა ძვირფ
ნებზე. ფასების გ
ინიშნებოდა ძირ
ურნეო პროდუქც

მას შემდეგ, რ
სმა" გამოაცხადა
ლიკვიდაციას იწ
კომპანია სკაიპე
ლი წინადადებით
ეს არის საშუალო
მელიც ეგზოტიკ
სააბის" შეძენა მ
დიდა მის როლს
ტიკური მანქანე
ამისა, ჯენერალ
დებით, სააბთან
ნასკნელ დღეებში

# ლეპტოპები საჩუქრად კა
# უნივერსიტეტის სტუდე

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა კახა შენგელიამ პირველკურსელები ლეპტოპებით დააჯილდოვა. ეს არის სტუდენტებისთვის განსაზღვრული წამახალისებელი საჩუქარი, რომელიც კიდევ უფრო მეტ სტიმულს მისცემს სტუდენტებს, რომ ისწავლონ კავკასიის უნივერსიტეტში. კავკასიის უნივერსიტეტი უკვე მეორე წელია,



ბით, სტუდენტ
ცესში მუდმი
ლეპტოპები. უ
ნისტრაციამ ს
ჩია დრო, წლის
ნასაახალწლოდ
დენტები.

ბავშვების
ვის, ძალიან მნი
ხის ღონისძიებ

# არჩევნები, რომლის შედეგები ეჭვქვეშ არ დამდგარა

ადვოკატთა ასოციაციას ახალი თავმჯდომარე ჰყავს

თამარ კაციტაძე

*ახალი თავმჯდომარის არჩევნების შემდეგ, ადვოკატთა ასოციაციაში შექმნილ გაუგებრობას საბოლოოდ დაესვა წერტილი. ბოლო პერიოდში, საქართველოში ჩატარებული არჩევნებისგან განსხვავებით, ეს ის ერთადერთი არჩევნებია, რომლის შედეგებიც არც ეჭვქვეშ დამდგარა და არც სადავო გამხდარა.*

*ჩვენ ვაჩვენეთ ქვეყანას, რას ნიშნავს ობიექტური და სამართლიანი არჩევნები. ადვოკატთა კორპუსმა დაამტკიცა, რომ იგი არის ღირსეულ ადამიანთა გაერთიანება, - ასეთი განცხადება გააკეთა ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა მას შემდეგ, რაც მისი კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის პოსტზე გამარჯვებულად გამოცხადდა.*

*ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნები სამართლიანად და ობიექტურად ჩატარდა. ვულოცავ ჩემს კოლეგას და ოპონენტს ზაზა ხატიაშვილს ამ გამარჯვებას, - თქვა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატმა ქეთევან ქვარცხავამ.*

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებში ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა გაიმარჯვა. მან თავის კონკურენტ ქეთი ქვარცხავას 60 ხმით აჯობა.

ზაზა ხატიაშვილის მხარდამჭერი ადვოკატები მიიჩნევენ, რომ მოხდა ხელისუფლების დამარცხება, რადგან მეორე კანდიდატი ქეთი ქვარცხავა ხელისუფლების ინტერესების გამტარებლად მოიაზრებოდა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ხატიაშვილის დახმარებით ადვოკატურა კიდევ უფრო გაძლიერდება და შეინარჩუნებს იმ დამოუკიდებლობას, რომელიც დღემდე "ბრძოლით მოიტანეს".

გუშინ სპორტის სასახლეში ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტური ჩატარდა, რომელშიც ქეთი ქვარცხავა და ზაზა ხატიაშვილი მონაწილეობდნენ. პირველი ტური 20 დეკემბერს გაიმართა, რომელშიც თავიდან ექვსი კანდიდატი მონაწილეობდა. მაშინ თავმჯდომარეობისთვის იბრძოდნენ: ქეთი ქვარცხავა (მისი კანდიდატურა ასოციაციის თავმჯდომარეობაზე ამჟამინდელმა თავმჯდომარე გოჩა სვანიძემ დააყენა), ნუგზარ ბირკაია, მამუკა მდინარაძე, ლევან ჯოხაძე (სამივე ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის კანდიდატები არიან), დავით ლანჩავა (არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" წარმომადგენელი) და ზაზა ხატიაშვილი (ადვოკატთა პროფკავშირის კანდიდატი). მაშინ, კრების გახსნისთანავე, არჩევნების არაობიექტურობის მოტივით, ლევან ჯოხაძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა.

პირველი ტურის შედეგებით, ხუთი კანდიდატიდან ყველაზე მეტი ხმა ზაზა ხატიაშვილმა და ქეთი ქვარცხავამ მიიღეს. 1360 ამომრჩევლიდან ასოციაციის თავმჯდომარედ ქეთი ქვარცხავა 558 ადვოკატმა ისურვა, 443-მა კი ზაზა ხატიაშვილი. იმის გამო, რომ კანონით სავალდებულო 680 ხმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა, ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების მეორე ტური დაინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის ორივე კანდიდატი არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიას არ გამოთქვამდა, მეორე ტურის დაწყებისას უკმაყოფილება აშკარად გამოიხატა.

თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ქეთი ქვარცხავამ აბსურდული უწოდა ზაზა ხატიაშვილის ბრალდებას, არჩევნების პირველ ტურში აღმოჩენილ 166 ზედმეტ ბიულეტენთან დაკავშირებით. როგორც ქვარცხავამ განაცხადა, 166 ბიუ[...] ტენი ზედმეტი არ ყოფილა. მ[...] თქმით, რეგისტრაცია გაიარა უფ[...] მეტმა ადვოკატმა, ვიდრე გამოცხა[...] ბული იყო რაოდენობრივად. მანვე [...] ნიშნა, რომ თავიდან თავადაც გამო[...] ქვა პროტესტი ამ გაურკვეველ 166 [...] ულეტენთან დაკავშირებით, მაგრ[...] შემდეგ ეს საკითხი გაარკვია.

რაც შეეხება გავრცელებულ [...] ფორმაციას, რომ ქვარცხავა სახე[...] სუფლებო კანდიდატი იყო, იგი ა[...] აბსურდულს უწოდებდა. ქვარცხა[...] განმარტებით, ის კანდიდატად და[...] ხელებული იყო თბილისში მოქმედ[...] იურიდიული ფირმის მიერ.

**"ეს ფირმები თანამშრომლო[...] არასამთავრობო ორგანიზაცი[...] თან და შეუძლებელია, რომ ის[...] სახელისუფლებო ინტერესებ[...] გამტარებლები იყვნენ,"** - ამბობ[...] ქვარცხავა.

ერთი სიტყვით, არჩევნები ჩატ[...] და და იგი ზაზა ხატიაშვილის გამარ[...] ვებით დასრულდა, რაც ქეთევან ქვა[...] ცხავამაც აღიარა.

საქართველოს ადვოკატთა ას[...] ციაცია უკვე მზად არის ახალი წლ[...] დან ახალი შემადგენლობით - ახ[...] თავმჯდომარით, ასოციაციის ახა[...] აღმასრულებელი საბჭოთი, ახა[...] ეთიკის და სარევიზიო კომისიით [...] უდგეს მუშაობას.

# ინგუშეთის მოქალაქე დახმარებას მიხეილ სააკაშვილს სთხოვს

*ინტერნეტგამოცემა "კავკაზსკი უზელის" ინფორმაციით, ეგვიპტეში დაკარგული ინგუშეთის მოქალაქის იბრაგიმ მანკიევის მეუღლემ დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართა. იბრაგიმ მანკიევის მეუღლე მიხეილ სააკაშვილს გატაცებულის პოვნასა და დაცვაში დახმარებას სთხოვს.*

იბრაგიმ მანკიევის გატაცების თაობაზე პირველად ნოემბრის შუა რიცხვებში მისმა ძმამ მუსა მანკიევმა განაცხადა. გატაცებულის ზუსტი ადგილსამყოფელის შესახებ ამ დრომდე არაფერია ცნობილი. მისი მეუღლის მტკიცებით, 3 დეკემბრამდე მანკიევი ალექსანდრიაში ჰყავდათ და, შესაძლოა, იგი ამჟამადაც იქ იყოს.

მანკიევას განცხადებით, ისინი ეგვიპტეში უკვე 4 წელია ცხოვრობენ, მისი მეუღლე სტუდენტია და სწავლის გაგრძელებას ადგილობრივ სასწავლებლებში აპირებდა, თუმცა, პასპორტთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ შეძლო. მისი განმარტებით, იბრაგიმ მანკიევი რუსეთის პასპორტის მიღებას უშედეგოდ ცდილობდა. მალევე კი, ის დააკავეს, რის შემდეგაც, უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**"საელჩოსთვის მრავალრიცხოვანი მიმართვა უშედეგოდ დასრულდა, მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ დახმარებისთვის ინგუშეთის პრეზიდენტს მივმართოთ. არც ინგუშეთის პრეზიდენტს და არც რუსეთის ხელისუფლებას შექმნილ ვითარებაში ჩვენი დახმარება არ სურს,"** - წერს იბრაგიმ მანკიევის მეუღლე მიხეილ სააკაშვილისადმი გამგზავნილ წერილში.

მისივე თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიიღეს ოფიციალური პასუხი, რომ იბრაგიმ მანკიევი ჩრდილოეთ ოსეთის სპეცსამსახურის დავალებით, 2007 წელს აღძრულ საქმესთან დაკავშირებით დააკავეს. გატაცებულის მეუღლე ვარაუდობს, რომ დაკავების რეალური მიზეზი ის გახდა, რომ მანკიევი ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთ მეჩეთში იმამად მსახურობდა.

მიხეილ სააკაშვილისადმი მიმართვას მანკიევის მეუღლე **"ინგუშ და ქართველ ხალხებს შორის საუკუნოვანი სიმპათიით"** ხსნის. **"მსოფლიოში თქვენი მაღალი ავტორიტეტის თაობაზე ყველასთვის ცნობილია. თქვენ დაამტკიცეთ, რომ საქართველო თავის მოქალაქეებს გასაჭირში არ მიატოვებს. ჩემი თქვენდამი მიმართვა სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანის ბოლო ნაბიჯია,** - წერს მანკიევის მეუღლე.

ალექსანდრიაში რუსეთის კონსულის ალექსეი მალენკოს განცხადებით, მანკიევი 10

ნოემბერს დააპატიმრეს ეგვიპტის კომპეტენტურმა ორგანოებმა, კაიროს

უსაფრთხოების დაცვის ცენტრალური ოფისის მითითების საფუძველზე. მისი თქმით, მანკიევი გადაიყვანეს კაიროში საგამოძიებო მოქმედებებს ჩასატარებლად. ალექსეი მალენკოს განცხადებით, ეგვიპ[...] საკონსულო დეპარტამენტმა დ[...] ვებულთან შეხვედრაზე მათ უა[...] განუცხადა.

ადამიანის უფლებების დამც[...] ლი საერთაშორისო ორგანიზა[...] ემინისტი ინტერნეიშენელლ[...] განცხადებით, მათი მოეპოვეს [...] ფორმაცია, რომ დაკავებული ა[...] მეს. მათივე მონაცემებით, რუ[...] თის ხელისუფლებამ ეგიპტეს, [...] კავებულის ექსტრადიციის თხ[...] ნით მიმართა, რაზეც უარი მიიღ[...]

ორგანიზაცია მიმართავს [...] ვიპტის ხელისუფლებას, რომ და[...] ვებულის ადგილსამყოფელის თა[...] ბაზე გაავრცელოს ინფორმა[...] უზრუნველყონ ის მის მიერ არჩ[...] ლი ადვოკატით, შეახვედრონ ოჯ[...] ხის წევრებთან, უზრუნველყონ [...] მედიცინო მოსახურებით.

ოფიციალური ინფორმაცი[...] ეგვიპტის პოლიციამ მხოლოდ [...] განაცხადა, რომ იბრაგიმ მანკი[...] დააკავეს და გამოძიება მიმდინარ[...] ობს.

*საკუთარი ინფორმა[...]*

# ირანში გამოსვლების დ
# მსხვერპლი მოჰყ

თამთა კახაძე



ორი დღეა, ვრცელდება ცნობები თეირანში ოპოზიციონერ აქტივისტებსა და წესრიგის დამცველებს შორის ახალი შეტაკებების შესახებ. ინფორმაციის ძირითადი წყაროა თვითმხილველთა ნაამბობები და ოპოზიციონერთა ვებგვერდები.

დაპირისპირება მოხდა თეირანის ცენტრში. პოლიციამ მიიღო ზომები 200-300 ადამიანის დასაშლელად , რომლებიც ენგელაბის მოედანზე ცდილობდნენ შეკრებას. რეფორმატორების ვებ-გვერდების დაუდასტურებელი ინფორმაციით, საპროტესტო აქციები თეირანის რამდენიმე რაიონში მიმდინარეობს. სახელისუფლებო ძალებმა მომიტინგეთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

ოპოზიციის მომხრეების მცირე ჯგუფი ქალაქის მთავარ ქუჩაზე აპირებდა შეკრებას, თუმცა პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

შაბათს საღამოს შიიტების შეკრებაზე გამოვიდა ყოფილი პრეზიდენტ-რეფორმატორი მუჰამედ ჰატამი. მისი გამოსვლის დროს მეჩეთში ხალხი შეიჭრა და იქ ტევა აღარ იყო.

ირანში დაძაბულობა გასულ კვირას დაიწყო, გავლენიანი სასულიერო პირის, დიდი აიათოლა ჰუსეინ ალი მონტაზარის დასაფლავების დღეს, რომელიც არსებული ხელისუფლების ოპოზიციას წარმოადგენდა.

მისი დასაფლავების შემდეგ ქალაქ კუმში შეტაკება მოხდა. ოპოზიციის მოხრეებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მომდევნო დღეებში, სულ მცირე, ირანის ორ ქალაქშიც მოხდა.

პოლიციის უფროსმა ესმაილ აჰმადი მოგადამმა განაცხადა, რომ თუ შიიტების პროცესიას ქვეყნის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციისთვის გამოყენებენ, გადამწყვეტ ზომებს მიიღებს.

აჰმადინეჯადის ოპონენტები ირწმუნებიან, რომ ივნისის არჩევნები, რომელმაც აჰმადინეჯადს ქვეყნის სათავეში მეორედ მოსვლის საშუალება მისცა, გაყალბებული იყო. თავად პრეზიდენტი ამ ბრალდებებს უარყოფს.

88 წლის ასაკში გარდაცვლილი დიდი აიათოლა ჰუსეინ ალი მონტაზარი 1979 წლის ისლამური რევოლუციის წამყვა
ადანაშულებდა
სულიერო პირე
მის სახელს ქვე
დასამყარებლა

პოლიციასთ
შემდეგ დაიწყო
ზიციამ თავის
და, მუსლიმი
მნიშვნელოვან
აშურაზე ქუჩებ

# ამერიკას წინ მოღრუბლული

გაპრეზიდენტებიდან ორ კვირაშივე, ვიდრე საცხოვრებლად თეთრ სახლში გადავიდოდა, ბარაკ ობამამ 120-გვერდიანი ანგარიში მიიღო, რომელიც მომავლის განჭვრეტაში უნდა დახმარებოდა.

დაზვერვის ეროვნული საბჭოს საუკეთესო ექსპერტებმა ერთი წელი დახარჯეს, რათა სხვა ექსპერტების გამოკითხვასა და გლობალურ ტენდენციებზე დაყრდნობით შეედგინათ ერთგვარი დოკუმენტი, რომელიც ახლად არჩეულ პრეზიდენტს დაეხმარებოდა თითქმის 2025 წლამდე პერიოდზე გარკვეული შეხედულების შექმნაში, რისი განჭვრეტაც ამ დრო-

ვი აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, კავკასიის, სამხრეთ და ცენტრალური აზიის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ რაიონამდე იქნება გადაჭიმული.

გაიზრდება აგრეთვე არასამთავრობო მოთამაშეთა - კომპანიების, ტომების, რელიგიური ორგანიზაციების და დანაშაულებრივი დაჯგუფებების გავლენაც.

2025 წლისთვის გლობალური დათბობით გამოწვეულმა კლიმატურმა პრობლემებმა და საკვები პროდუქტის უკმარისობა შესაძლოა, ხალხის მსხვილმასშტაბიანი მიგრა-

ტია მმართველობის საუკეთესო ფორმაა."

მოცემული ანგარიში მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ტრიუმფალიზმისგან, რომელიც ამერიკას 20 წლის წინათ ახასიათებდა - მაშინ, როდესაც მან ბერლინის კედლის დანგრევა, საბჭოთა კავშირის დამხობა და კომუნიზმის განადგურება იხილა.

ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში აშშ-მ აღმოაჩინა, რომ პლანეტაზე ერთადერთი ზესახელმწიფო იყო, რომელსაც არც ეკონომიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით მეტოქე არ ჰყავდა.

ექსპერტები
გარიშში განწე
გრაფიკი მნიშვ
გლობალურმა
ზისმა, რომელი
მომენტში ჯერ
რებდა. აქედან
ლება ითქვას, რ
ნები 2025 წელი
დადგა.

მოფლიო ეკ
მა, რომელიც შე
სიის შემდეგ ყვე
ნად შეფასდეს, მ
ტრილიონი აშშ
რა და აშშ-ს სა

# ტერორისტის მამამ ვა
# წინასწარ გააფრთხ

მარიკა იაშვილი




25 დეკემბერს ნიგერიელმა თვითმკვლელმა ტერორისტმა უმარ ფარუკ აბდულმუთალაბმა ავიაკომპანია დელტას ავიალაინერის აფეთქება მაშინ სცადა, როდესაც იგი დეტროიტში უნდა დაშვებულიყო.

უმარ ფარუკ აბდულმუთალაბი მგზავრებმა და ეკიპაჟის წევრებმა ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანის მცდელობისას განაიარაღეს.

ასაფეთქებელი მოწყობილობა არ ამუშავდა, თუმცა მგზავრების განცხადებით, თვითმფრინავის სალონის კედელი დაიწვა და ნიგერიელმაც სერიოზული დამწვრობები მიიღო.

საოლქო მოსამართლემ პოლ ბორმანმა ფარუკ აბდულმუთალაბს წაყენებული ბრალდება მიჩიგანის უნივერსიტეტის სამკურნალო ცენტრის შეხვედრათა დარბაზში გააცნო, სადაც ტერორისტი დამწვრობებს მკურნალობდა.

ფედერალურმა აგენტებმა საავადმყოფოს მწვანე ტანსაცმელში ჩაცმული და მუხლებზე პლედგადაფარებული ეჭვმიტანილი დარბაზში ეტლით შეიყვანეს.

მოსამართლის შეკითხვას - გასაგებია თუ არა მისთვის წაყენებული ბრალდებები - "ასაფეთქებელი მოწყობილობის ჩადება" და "საჰაერო ხომალდის განადგურების მცდელობა," - აბდულმუთალაბმა ინგლისურად უპასუხა, რომ მისთვის ყველაფერი გასაგებია.

შობის დღეს ამერიკული თვითმფრინავის აფეთქების მცდელობაში ეჭვმიტანილი ნიგერიელის მამა თავისი შვილის საეჭვო ქმედებების შესახებ ვაშინგტონს წინასწარ აფრთხილებდა.

23 წლის უმარ ფარუკ აბდულმუთალაბის მამა ნიგერიაში ცნობილი ბანკირი ალჰაჯი უმარუ მუთალაბია.

ცნობილი ხდება, რომ ბანკირმა ამერიკის ოფიციალური პირები თავისი შვილის ექსტრემისტული რელიგიური შეხედულებებზე წინასწარ გააფრთხილა, თუმცა როგორც ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, მათ ნიგერიელი ბიზნესმენის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კონკრეტიკას მოკლებულად მიიჩნიეს.

ალჰაჯი უმარუ მუთალაბს ნიგერიის პოლიტიკურ ელიტასთან ახლო კავშირები აქვს და წარსულში ბანკ First Bank of Nigeria-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. მისი შვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლონდონის უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯში ინჟინერ-ავტომშენებელის პროფესიას ეუფლებოდა.

ახალგაზრდის პოლიტიკურმა შეხედულებებმა მისი ოჯახი და განსაკუთრებით მამა უკიდურესად შეაშფოთა. არსებული ინფორმაციით, ბანკირმა მიმდინარე წლის ნოემბერში ამერიკის საელჩოს და ნიგერიის სპეცსამსახურებს მიმართა და თავისი შეშფოთება გაუზიარა.

როგორც პრესას ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ანონიმურად განუცხადა, "ინფორმაცია სისტემაში შევიდა, თუმცა რადიკალური ექსტრემისტული შეხედულებები ძალზე არაკონკრეტულად იყო გამოხატული."

ამგვარად ადმინისტრაციის წევრთა თქმით, აბდულმუთალაბის სახელი ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების მონაცემთა ბაზაში შეიტანეს, თუმცა იმ ადამიანთა სიაში, რომლებსაც ამერიკის რეისებით მგზავრობა ეკრძალებათ, მისი გვარი არ მოხვედრილა - ამისთვის უფრო კონკრეტული მონაცემებია საჭირო.

არსებული ინფორმაციით, აბდულმუთალაბის ნათესავები ნიგერიის დედაქალაქში საგანგებოდ ჩავიდნენ, რათა პოლიციასა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეხვედროდნენ.

საგულისხმოა, რომ ნიგერიის

აეროპორტებში
ლი ღონისძიებ
ხოლო საბაჟო
სახურებში მა
ციაა.

თუმცა მთა
რატომ მისცეს
ტანილთა სია
ამერიკის ვიზა?

აშშ-ს იუსტ
ში ამტკიცებენ
ლაბს ნიგერიუ
ნიდერლანდებ
"სხეულზე ასა
ბილობა ჰქონ
არსებული ინფ
ბილობა საცვა
ლი.

იუსტიციის
ბით, ასაფეთქ
პენტაერიტრო
ვე ნივთიერებ
ბრიტანელ რიჩ


სია
მიიღეთ საქართვ
დაბალპროცენ
ბანკ „რე
იპოთეკური სესხი
13% - დან
ავტო და სამომხმარებლო სესხები


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
აბსოლუტური
თქვენი
პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში

# მინდიას რაკურსი

## სანამ ტაილანდის ყველა ფერს გადაიღებს

თამარ კიკნაველიძე

რითი დაგაინტერესებთ მინდია მიდელაშვილის ფოტოგამოფენა, რომელიც გალერეა დიარტში" (თბილისი, წერეთლის 116) გაიხსნა და 29 დეკემბრამდე გაგრძელდება? აგიხსნით!

ის იმდენად მრავალფეროვანია, როგორც პირდაპირი ისე გადატანითი მნიშვნელობით, რომ 60 ნამუშევრიდან რომელიმე თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს. მით უფრო, რომ ექსპოზიციაში ჩართულია ფოტოები, რომლებიც ავტორმა ინდოეთში ყოფნისას გადაიღო და ნაწილია პროექტისა, სახელწოდებით Mindia in India, რომლის პრეზენტაციაც 2008 წელს თბილისში მოეწყო. ამ ფოტოებში მიწას, წყალს, მზესა და ცას ისეთი ფერი აქვს, როგორიც ინდოეთის ხსენებისას წარმოგვიდგენია. ავტორი ხედავს ქვეყნის სილამაზეს და კიდევ, თავისუფლებას, რითაც ადამიანებიც საზრდოობენ და ცხოველებიც. ინდოეთის სერიიდან წარმოდგენილი ნამუშევრების დათვალიერებისას დარწმუნდებით, რომ ასეთი ფერებისა და სილამაზის გადმოსაცემად მხოლოდ დანახვა და ფოტოაპარატზე თითის დაჭერა არ არის საკმარისი. ქვეყნის ხასიათი ავტორმა საინტერესო კომპოზიციებში მოაქცია. მან გადაიღო კადრები, რომლებშიც მაცხოვრებლების სიცოცხლისმოყვარეობა და ბუნებასთან ჰარმონიულობა იკითხება.



ექსპოზიცია ეკლექტურია. აქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა სერიიდან შერჩეული ფოტოებია გამოფენილი, მაგრამ ეკლექტურობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის, რაც ავტორს გამოარჩევს - წინა პლანზე არ არის წამოწეული ხელწერა, რომელიც კონკრეტულ ავტორს გაგახსენებთ. მის ფოტოებში მთავარია ნამუშევარი და არა კონცეფცია, რომელიც დამატებით ახსნა-

განმარტებებს მო
ქმელია, ფოტოში
დაც ფოტოსერია
მოდელის სხეულ
ზეა გაკეთებული
ტერესოა და მნ
წერტილი, საიდა
განსხვავებულად

კომპოზიციებ
ფოტოებს, რომლ
სხეულია აღბეჭდ
დია მოდელაშვილ
რეტებს და პეიზა
იმით გამოირჩევა
მუშევრის შთაბე
ნამუშევარს თუ
იფიქრებთ, რომ
ნასმებსაც კი ხედ
განცდას ფერთა
რებს. ხუროთმოძ
ავტორის ობიექტ
ფიტარეთი. მან ა

მინდია მიდე
ციფრული ფოტ
თუმცა, ექსპონირ
დან რამდენიმე
მას მიაჩნია, რო
ფოტოს სჭირდებ
სურველი შედეგი
ნელია.

ის 1983 წლის
თბილისის სამხა
თავრა. მისი აქტ
ცხოვრება დაიწყ
საც გერმანიაში

# ძველი, მაგრამ რჩეულ

## გამოვიდა რეზო თაბუკაშვილის ახალი კრებულ

"სოხუმი დაეცა. დანთხლეული ქალაქიდან ბოძებად აშოტილი შავი ბოლი ზემოთ, ცაში, თხელ ფენებად იშლებოდა და პატარ-პატარა, უჟმურ ღრუბლებად დაცურავდა. ახლად ნაწვიმარ, აქა-იქ გვამებით მოფენილ ქუჩაზე გრუხუნით დაბობღავდნენ ` —-ერები და შლეგი სახეებით დაძრწოდნენ იარაღასხმული მამაკაცები"... - თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ტექსტი, რომელიც ასეთი სიმძაფრით აღწერს 20 წლის წინანდელ ომს. მისი ავტორი რეზო თაბუკაშვილია, რომლის ბოლო წიგნიც ორიოდე დღის წინ კრებულის სახით გამოვიდა.

კრებული "მზეო არ ამოხვიდე" მკითხველისთვის ცნობილ ყველა ნაწარმოებს აერთიანებს. მასში მთლიანად შევიდა 2005 წელს გამოცემული "არასაფრენი დღეების" მოთხრობები: "მკვლელობა სადგურზე", "ერთი დათრობის ამბავი", გემების ჩრდილქვეშ", "დროებითი შემოტევა" და "არასაფრენი დღეები". აქვე წაი-




ვიყავი", - ამბობს მ

კრებულის შე
რუნა - რაც უკანა
მავლობაში დაუწ
თად მოაქუჩა, კ
კითხა, საკუთარ ი
არჩია და საუკეთ
ბულს მოთხრობა
ხსნის და თავად
ჰქვია. სათური პ
ამას არც ავტორი
ხსნის: "არა, პეს
არაა, პირიქით - ეს
ზეა, ვისაც თეთრა
ღამის შემდეგ მზ
იმიტომ არ უნდა,
რელი ადამიანი არ
არ სურს სიყვარუ
ხოლო ის რომ, კრ
ამ მოთხრობის ს
განსაკუთრებულ
ნიშნებს - უბრალო

# თბილისელი ბიჭების

პირველი გვერდიდან

მგელაძის წინადადება თავისივე პიესით მოწონებულ იქნა. მისი ექსპერიმენტის მოლოდინი კი ამ დღეებში - პრემიერამ დაასრულა.

ჩემი დედას შევეცი..., ჩემი დედას შევეცი..., ჩემი დედას შევეცი... დიდხანს მეორდება უხილავი ხმების ჩანაწერი - ეს კულმინაციაა მგელაძის სპექტაკლში, რასაც ერთი კაი ბიჭის მამა ვერ უძლებს და თავს იკლავს. მამას დავით პაპუაშვილი ასრულებს, ხოლო შვილს მისი ვაჟი ზურა პაპუაშვილი. ამ ორი თაობის წარმომადგენლებს მხოლოდ ნარკომანია არ აშორებთ, ამ სხვაობაზე არის ძალიან მცირედი მინიშნებები... თბილისელი ბიჭების ზემოთ აღნიშნული დიადი ცხოვრებისული კრედო ყველაზე ხშირად გამეორებადი ფრაზაა სცენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლექსიკაზე ყური მიგვეჩვია, სცენიდან ამის მოსმენა თინეიჯერობის ასაკიდან გამოსულ მაყურებელს მაინც არ სიამოვნებს, იშმუშნება. ის, რამაც ბევრი გაახალისა, ნაწილისთვის ალბათ არც ისე სასიამოვნო იქნებოდა. მაგალითად გაშარჟებული ტიპიური ქართველი მამაკაცი ჭიქით ხელში, სადღეგრძელოები, სრულიად აზრსა და გონს მოკლებული პერსონაჟები, რომლებიც ქართველობაზე ბოდავენ რაღაცას, აქ მაყურებლის ნაწილს ისიც აღიზიანებს, რომ მეორე ნაწილს ეცინება. ამ დროს მაყურებელი უფრო სასაცილოა, საკუთარ ყურებს უფრთხილდება. ალბათ ისე როგორც თვალებს, როცა საკუთარი გარემოსა და რეალობის დანახვა არ სურს. და იქნებ საკუთარი თავისაც კი.

დარწმუნებული ვარ, რომ გიო მგელაძეს ანტინარკოტიკული აქციის მოწყობა უნდოდა, მაგრამ ალბათ დაავიწყდა, რომ რეკლამაც კი, სადაც ნემსი ჩანს, აკრძალულია, პროპაგანდად ითვლება. მოკლედ რა, როგორ და რად ითვლება მაინც სხვა საკითხია, მაგრამ ამ დადგმაში მსახიობ ზუკა პაპუაშვილი გმირი იჩხირავს - დიდი ვერაფერი ახალი ამბავია, არა? აშკარად, უკვე ძალიან რთულია ამ ტიპის სცენებმა შოკი და კათარზისის ნიშნები გამოიწვიოს ქართველ მაყურებელში.

შესაძლოა, მაყურებლის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება ლექსიკამ და გმირების ვინაობამ გამოიწვია, მაგრამ უნდა აღვნიშოთ, რომ ვშიშობ ამ წარმოდგენის, ჯერ მისი დრამატურგიული საფუძვლის და შემდეგ თეატრალური ნამუშევრის ერთადერთი დადებითი მხარე სწორედ ეს არის - მაყურებლის გაღიზიანების მცდელობა. სასურველი იქნებოდა, ის თინეიჯერებიც კი, ვინც ასე გულიანად იცინოდნენ, ცოტა მაინც გაბრაზებულიყვნენ. მით უფრო, რომ ეს დადგმა ხომ მხოლოდ მათთვის თუ იქცევა აღმოჩენად. მეეჭვება ეს წარმოდგენა იმ მაყურებლისთვისაც საინტერესო გახდეს, რომელიც თვალს ადევნებს თანამედროვე თეატრის, კინოს თუ ლიტერატურის პროცესებს. მისთვის არც მგელაძის გმირები და არც ამ გმირების ყოფა უცხო ისტორია არ არის. ნათქვამია, ვისთან უკეთ, ვისთან უარესად.

შიშველი და პირდაპირი ასახვა ძველბიჭობის, ნარკომანიის, მათგან გამოწვეული ძალადობის, თუ ნიჰილიზმის, თითქოს ნანახი კადრებია და უნებურად უკვე მეტს ითხოვ, როგორც მწერლისგან, ისე რეჟისორისგან. მეტ სიღრმეს თუ ვერა, ახალ გასასვლელებს მაინც, გასასვლელებს იმ სივრციდან, რომელ-

შიც ქართულ საზ
იხარშება ქართუ
ჩვენი აზრი
მოფხიზლების მ
დეგიანი იქნებოდ
პერიმენტულობა
გინებითა და ზოგ
მოიფარგლებოდ
რად დაისმებოდა
თუნდაც ამგვარ
სხვაგან ვერ შევნ
გიულ საკითხებს
ზე საუბარით ჩა
ამ დადგმას შევხ
რალური რეჟისო
მცდელობას. მგ
არც დასახულა.
ატრმცოდნეები
ბისგან თავს ი
რჩება ამ წარმოდ
თი. ის, როგორც
როგორც თეატრ
გაიღიმეთ ჩიტი
რთულია დაინახ
დრამატურგია დ
ერთოდ რთული
მუშაობდნენ ამდ

ბიზნესი

# ისუნთქე თავისუფლა

## ფილტვის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ყოვე

ფილტვის კიბოთი ყოველდღიურად 3 000 ადამიანი იღუპება.

ეს ნიშნავს, რომ ყოველ ნახევარ საათში სადღაც ვინმე იღუპება ფილტვის კიბოს გამო. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ფილტვის კიბო არის ყველაზე ძლიერი მკვლელი - მას უფრო მეტი ადამიანი ეწირება, ვიდრე ძუძუს, მსხვილი ნაწლავის და პროსტატის კიბოს ერთად აღებულს. ყოველწლიურად მსოფლიოში ფილტვის კიბოთი დაავადების 1.5 მილიონი ახალი შემთხვევა აღინიშნება.

ამის მიუხედავად, ფილტვის კიბოს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. ამიტომაც, ნოემბრის თვე მსოფლიოში აღიარებულია როგორც ამ დაავადებასთან ბრძოლის თვე და ამ პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციები ატარებენ სხვადასხვა აქციებსა და აქტივიტეტს დაავადებულთა მხარდასაჭერად და ზოგადად ფილტვის კიბოს შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით.

ფილტვის კიბო არის დაავადება, რომელიც შეიძლება შეეხოს ყველა ადამიანს ასაკის, სქესის და რასის მიუხედავად. ეს არ არის მხოლოდ მწეველების დაავადება. პაციენტების დაახლოებით 10-20% არასდროს ყოფილა მწეველი.

ხშირ შემთხვევაში ფილტვის კიბოს არ ახასიათებს ბევრი სიმპტომი ადრეულ სტადიებზე. პირველი ყველაზე ხშირ მცირეა: პაციენტთა უმრავლესობა 6 თვის განმავლობაში იღუპება; მხოლოდ მათი 5% ცხოვრობს 5 წელიწადზე მეტხანს.

თუ დაავადების მკურნალობა ადრეულ სტადიაზე მოხდა, 10-დან 7 პაციენტს აქვს შანსი, 5 წელიწადზე მეტხანს იცხოვროს, და ასევე, არსებობს მათი გარკვეული ნაწილის სრული განკურნების შანსი.

სხვა ისეთ დაავადებებთან შედარებით, როგორიცაა, მაგალითად, ძუძუს კიბო, ფილტვის კიბოს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე არის ბევრად უფრო დაბალი. ამისთვის აუცილებელია ადამიანების ინფორმირება ამ მომაკვდინებელი დაავადების შესახებ, სადაც ადრეული დიაგნოსტიკა უკიდურესად მნიშვნელოვანია და, ფაქტობრივად, პაციენტის სიცოცხლის მნიშვნელოვან გახანგრძლივებას ნიშნავს.

ფილტვის კიბო შეიძლება წარმატებით იყოს ნამკურნალები ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ქირურგია, სხივური და ქიმიოთერაპია. ასევე აღსანიშნავია ისეთი თანამედროვე მიდგომების გამოყენება, როგორიცაა ბიოლოგიური ანუ კიბოს უჯრედების მიმართ მიზანმიმართული (თარგეთული) თერაპია მონოკლონური ანტისხეულების გამოყენების გზით.

ევროპაში ჯანდაცვის სფეროში გამოყოფილი თანხების 5-7% კიბოს საწი- ოთხედს შეადგენს.

როგორც კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმა, ფილტვის კიბოზე საერთო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის. მონაცემები ფილტვის კიბოზე გაწეული ეროვნული ხარჯების შესახებ მწირია. პირდაპირი ხარჯების გათვლა ხორციელდება პაციენტების მხოლოდ ნაწილზე, რომელიც მოიცავს რომელიმე რეგიონს ან საავადმყოფოს. აღნიშნული ხარჯები ხშირად არ წარმოადგენს არსებულ სურათს, ამასთან მონაცემთა შეგროვებისა და გათვლების მეთოდოლოგია ხშირად ბოლომდე გასაგები არ არის. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში სრულყოფილი მონაცემებია ხელმისაწვდომი კიბოს სხვადასხვა ფორმებზე.

გერმანიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში ფილტვის კიბოზე მოდის მთლიანად კიბოზე გაწეული ხარჯების დაახლოებით 8 პროცენტი. ფინეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 6.6%-ს, საფრანგეთში 9.3%, ხოლო უნგრეთში 9.9%-ს. ამ ციფრების პირდაპირი შედარება არ შეიძლება, ვინაიდან გათვლების მეთოდიკა განსხვავებულია, და, შესაბამისად, განსხვავებულია გაანგარიშებაში შეყვანილი ხარჯები.

პირდაპირი ხარჯების უმეტესობა ჰოსპიტალურ მომსახურებაზე მოდის. გერმანიაში მისი წილი შეადგენს 93 პროცენტს, შვედეთში - 86 პროცენტს, ხოლო ნიდერლანდებში - 77 პროცენტს.

დიცინო ცენტრებ
ლია დიდი რაოდ
მომსახურება,
სხვადასხვა პროფ
ლიც აღჭურვილი
ური აპარატური
მკურნალობის
ცენტრები განიხ
ნელოვანი ფაქტ
დარტების ხელმ
მიუხედავად იმის
პაციენტები. მენე
სით მნიშვნელო
ლობრივი დაწესე
ლი ცენტრების
მედების უზრუნვ
ქვეყნების უ
დარტულ მკურნ
ფილის საავადმ
ყოფენ. სპეციფი
რუნველყოფილი
ცენტრებში.
მრავალ ქვეყ
ერეს, რომ კიბოს
რი სამედიცინო მ
ბა მრავალრიცხო
მკურნალობის ნ
ბას იწვევს, მდგო
რესურსების სიმ
ვადმყოფოებში
ბამის სამკურნალ
თვიანობის არასა
ეს პრობლემა გან
ჩინოა აღმოსავლ

# ფრთხილი ოპტიმიზ

## ქართველების 64 პროცენტი ნაწილობრივ ენდობა ჟუ

თამარ ივანიძე

*ქართულ მედიას თავად მედიის წარმომადგენლები უფრო შავ ფერებში აღიქვამენ, ვიდრე ქართული საზოგადოება; საზოგადოება ჟურნალისტებს ჯერ კიდევ ენდობა, მედიის განვითარებას კი ფრთხილი ოპტიმიზმით ეკიდება, - ასეთია კავკასიური კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ევროკავშირის დაფინანსებით 2009 წლის აგვისტო-ნოემბერში განხორციელებული საქართველოს მედიის სიღრმისეული კვლევის შედეგები. როგორია საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება მედიისადმი? - "24 საათი" ამ კითხვაზე ცენტრის მიერ მიღებულ პასუხებს გაგაცნობთ. კერძოდ, დასკვნაში ნათქვამია, რომ:*

საქართველოში მედია მოსახლეობის უფრო დიდი ნდობით სარგებლობს, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. საქართველოში გამოკითხული რესპონდენტების 47 პროცენტი ნაწილობრივ ან სრულად ენდობა მედიას; შედარებისთვის, აზერბაიჯანში 43 პროცენტი ენდობა მედიას, ხოლო სომხეთში - 39 პროცენტი.

ქართველები, აგრეთვე, ახალი ამბების აქტიური მომხმარებლები არიან.

გამოკითხულთა 84 პროცენტი ყოველდღე უყურებს სატელევიზიო ახალ ამბებს, მათი უმრავლესობა - ნახევარი საათიდან ორ საათამდე. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა, რესპონდენტთა 86 პროცენტი თვეში ერთხელ მაინც კითხულობს ყოველკვირეულ გაზეთს, ხოლო 80 პროცენტი - ჟურნალს. გარდა ამისა, 33 პროცენტი ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას რადიოს მეშვეობით და იზრდება ინტერნეტის მოხმარება - 12 პროცენტი ყოველდღიურად იყენებს ინტერნეტს. ეს იმას მიუთითებს, რომ მართალია ტელევიზია ინფორმაციის ძირითად წყაროდ რჩება, მაგრამ გაზეთები და რადიო ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ინტერნეტი კი სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. კერძო სატელევიზიო არხი რუსთავი 2 , რომელიც მთელ ქვეყანაზე მაუწყებლობს, დღესდღეობით ყველაზე პოპულარულია საქართველოში - რესპონდენტთა 79 პროცენტი ყოველდღიურად უყურებს ამ არხის საინფორმაციო გამოშვებებს. თუმცა, მოსახლეობის დამოკიდებულება ამ არხისადმი არაერთგვაროვანია.

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა 59 პროცენტი ნაწილობრივ მაინც ენდობა რუსთავი 2 -ის ახალ ამბებს, გამოკითხულთა 51 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს არხი მთავრობის ინტერესებს გამოხატავს. ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ მაყურებლები შეიძლება სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი რუსთავი 2 -ის ახალი ამბების მიმართ, მაგრამ გაშუქების მაღალი ხარისხისა და ოპერატიულობის გამო მაინც უყურებენ ამ არხს.

ნათელია, რომ ქართველ მაყურებელს პროფესიულად წარმოდგენილი ახალი ამბები მოსწონს. ჟურნალისტებში ყველაზე მეტად აფასებენ ჭკუას (59 პროცენტი), გამბედაობას (34 პროცენტი), სწორი კითხვების დასმის (19 პროცენტი) და ფაქტების გასაგებად გადმოცემის უნარს (18 პროცენტი). რესპონდენტებს არ გაუჭირდათ იმ ჟურნალისტების დასახელება, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ. ცუდი მეტყველება და პროვოკაციული ქცევა ჟურნალისტების ორ ყველაზე არაპოპულარულ თვისებად იქნა მიჩნეულ (შესაბამისად, რესპონდენტთა 25 და 19 პროცენტები), რაც მიუთითებს, რომ კარგი პრეზენტაციის უნარი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართველი მაყურებლისთვის. ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღშფოთებით ისაუბრა იმ ჟურნალისტებზე, რომლებიც მეტყველებაში გრამატიკულ შეცდომებს უშვებენ. ქართველი ახალი ამბების მომხმარებლები აცნობიერებენ, რომ

სატელევიზიო ახალი ამბები პოტენციურად მიკერძოებულია; გამოსავალს, მათი აზრით, სხვადასხვა არხის ყურება წარმოადგენს. დედაქალაქის ფარგლებს გარეთ გაცილებით რთულია იმ არხების ყურება, რომელთაც რუსთავი 2 -ისგან საგრძნობლად განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ. სხვადასხვა საინფორმაციო ტელეარხებზე ხელმისაწვდომობა საქართველოს მასშტაბით განსხვავდება. მოსახლეობის უმრავლესობას მხოლოდ რუსთავი 2 -ის, იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ყურება შეუძლია. ეს არხები მთავრობის ინტერესების გამომხატველად აღიქმება რესპონდენტთა, შესაბამისად, 51, 33 და 51 პროცენტის მიერ. თბილისში მაუწყებლობს კიდევ ორი არხი - მაესტრო და კავკასია , რომლებიც ოპოზიციის მხარდამჭერებად არიან მიჩნეულნი (თბი... 68-პროცენტს ს... ოპოზიციის ი... ტავს, და 50 პრ... მაესტროც ... მხარს). თბილის... კუს ჯგუფების... ერთი სატელევი... ეს ობიექტურად... კასიაც და მა... ბულად" და ცა... საქართველოში... ნებს. ახალი ამ... გაშუქება მ... კითხულთა 75 პ... ხედავად ამისა,... რით, სატელევი... მიუკერძოებლო... 61 პროცენტი მ... არხების მფლობ... ლენას ახალი ... რუსთავი 2 -ის... ბელების ვინაო... სხვადასხვაობა... მონაწილეთა უ... ნია, რომ ამ არ... მთავრობის გავლ... მოკითხულთა 4... რომ ჟურნალის... ლად ემსახურე... ტერესებს, აქედ... დის თავისუფლ... თველოში მართ... ლი ხდება. ქარ... სობა ეწინააღმ... ცენზურას სახე... გამოკითხულთა... რებს მოსაზრებ... უნდა აკონტრო... ლო 22 პროცენტ... რობას აქვს უფ... დეს მედიას. ფო...

# უმადურობა ყველაზე დიდი უს

ამ ორიოდე დღის წინ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს დიასპორის საკითხებში პროფესორ იულონ გაგოშიძეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს იმის გამო, რომ მინისტრმა ისინი თავიანთი ქვეყნების დიასპორის ნაწილად მოიხსენია, მაშინ, როდესაც თავს საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად და ჭეშმარიტ შვილებად თვლიან.

ეთნიკური უმცირესობები რომ ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, ეს სადავო არ არის. ამას ხელისუფლებაც ხაზგასმით აღნიშნავს. თუკი ზოგჯერ დისკომფორტი ექმნებათ, ეს ჩვენი ქვეყნის არასტაბილური მდგომარეობითაა გამოწვეული და ეს მათ შესანიშნავად იციან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მივმართავ საქართველოში სომხური სათვისტომოს თავმჯდომარეს, რომელმაც შესანიშნავი ქართულით და დიდი რიხით განაცხადა, რომ საქართველო მისი სამშობლოა, რადგან ის აქ დაიბადა და გაიზარდა, მისი პაპისპაპა კი აქ არის დაკრძალული.

კეთილი და პატიოსანი, ამაზე უკეთესი რა უნდა ეთქვა. მაგრამ, ამა თუ იმ ქვეყნის ჭეშმარიტი შვილობა სიტყვაზე გამოკიდებით კი არა, საქმით წარმოჩინდება. ამიტომ ვთხოვ, ისეთივე რიხით მოუწოდოს თავის თანამემამულეს, საქართველოში დაბადებულსა და გაზრდილ პროფესორ აშოტ მელქონიანს, რომ ბოდიში მოუხადოს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ასევე მთელ ქართველ ხალხს. აი, მაშინ

ტომთათვის?! თუკი ბატონ პროფესორს ასე აწუხებს ჯავახეთში მცხოვრებ სომეხთა ბედი, რატომ არ მიმართა სათანადო ინსტანციებს საქართველოსა და სომხეთში?! რა საჭირო იყო ამ განცხადებების გაკეთება ბერძნულენოვან ჟურნალში?! ცხადია, ამის გამოცნობა ძნელი არ არის. ინტერვიუს მიზანი საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის იმიჯის შელახვაა საერთაშორისო სარბიელზე. ეს ნაცადი ხერხია. მსგავსი ინტერვიუებით აივსო უცხოეთის პრესა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობის გზას დავადექით. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ამას მარტო სომხები არ აკეთებენ. მაგრამ, სხვებზე სხვა დროს ვილაპარაკებთ.

ყურადღების გამახვილება მაინცა-

რებას ველოდებ... ვარული სომეხი ...

P.S. სტატიის... ნა ვერც კი მოვა... ბრის ახალ ამბე... ნისტრ ი. გაგოშ... უწყეს. იმედი მა... რობაც ადეკვატ... ფესორ ა. მელქ... ხელისუფლებას ... თივ გულისხმიე... რი ქართველთა... მსგავსი ოპერატ... რეაქცია.

ალმ...

# სპორტ

## 2009 წლის საუკეთესო სპორტსმენად მანუჩარ ცხადაია დაასახელეს



წლის ბოლოს წესისამებრ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს ასახელებენ. ამ ტრადიციას საფუძველი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაუყარა, რომელიც წლის მიწურულს აწყობდა სპორტზე მწერალი ჟურნალისტების გამოკითხვას და წლის საუკეთესო სპორტსმენსაც ასახელებდა. რამდენიმე წელია კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტიც ასახელებს საუკეთესო სპორტსმენს.

26 დეკემბერს წლის შემაჯამებელ ღონისძიებას განახლებული ფილარმონიის ივენთ-ჰოლმა უმასპინძლა.

სანამ შეკრებილი საზოგადოება 2009 წლის ლაურეატების გვარებს შეიტყობდა ღონისძიების ორგანიზატორებმა საკმაოდ საინტერესო მუსიკალური პროგრამა შემგვთავაზეს, რომელიც ჯეოსტარის მონაწილეებმა გაალამაზეს.

ვიდრე სტუმრები უმთავრეს ნომინაციაში გამარჯვებულის ვინაობას შეიტყობდნენ, საუკეთესოები 3 სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ. ასევე დაჯილდოვდნენ 2009 წლის საუკეთესო სპორტული შედეგის მქონე სპორტსმენებიც.

თავდაპირველად 2009 წლის საუკეთესო სპორტული ფედერაცია დაჯილდოვდა, ალბათ არავის გაკვირვებია, რომ სცენაზე ჯილდოს მისალებად რაგბის კავშირის პრეზიდენტ გია ნიჟარაძეს უხმეს. სიგელი და პრიზი - ნოუთბუქი სწორედ მან ჩაიბარა.

შემდეგ უკვე წლის საუკეთესო გუნდის ვინაობაც შევიტყვეთ და მოულოდნელი არც ამჯერად ყოფილა რამე. ევროპული კალათბურთის ელიტარულ დივიზიონში აღ-[…]

მარჯვებულ და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორ ტყვიის მსროლელს, ნინო სალუქვაძეს, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოსნებს - ძალოსან ალბერტ კუზილოვს, თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძესა და მოკრივე კობა ფხაკაძეს, 20 და 23-წლამდელ ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონ პაატა მერებაშვილსა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოთამაშე ფეხბურთელ, რუბინის შემადგენლობაში რუსეთის ჩემპიონატის […]

დღევანდელი დღე ყველაზე სასიხარულო გახლავთ. ეს ტიტული ჩემთვის უდიდესი სტიმულიც იქნება და მომავალში თავს არ დავზოგავ .

ცახდია მცირე კომენტარის გაკეთება, არც დანარჩენმა ლაურეატებმა დაინანეს.

თითოეული მორაგბის სახელით მსურს ყველას მადლობა გადავუხადო. მადლობა თავად მორაგბეებს, რომლებიც ყოველთვის სულს და გულს აქსოვენ თამაშში, ქართველი ხალხის გასახარად , - აღნიშნა […]

**3. 2009 წლის საუკეთე[…] ეროვნული ნაკრები** - კალა[…] ბურთელთა ეროვნული ნაკ[…]ბი

**4. 2009 წლის საუკეთე[…] სპორტსმენი** - მანუჩარ ც[…]დაია

**5. 2009 წლის სპორტუ[…] შედეგებისთვის**

**1. ნინო სალუქვაძე (ტყ[…]ის სროლა)** 2009 წლის მსო[…]ლიოს სუპერთასის გამარჯ[…]ბული და ევროპის ჩემპიო[…]

### პეტრესკუ "უნირეას" დაემშვიდობა

რუმინული უნირეას მთავარმა მწვრთნელმა დან პეტრესკუმ კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და არაა გამორიცხული, კარიერა რუსეთის პრემიერლიგაში მოასპარეზე მოსკოვის დინამოში განაგრძოს.

დან პეტრესკუსთან კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტეთ. დოკუმენტებს ოფიციალურად ორშაბათს გავაფორმებთ, თუმცა გადაწყვეტილება უკვე მივიღეთ , - განაცხადა უნირეას გენერალურმა დირექტორმა, ფელიქს გრიგორემ.

### კეჟმანი უკლუბოდ არის დარჩენილი

სერბი ფორვარდი მატეია კეჟმანი პრაქტიკულად უგუნდოდ დარჩა. ერთ დროს ევროპული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული მეგოლე გასულ სეზონში რუსულ ზენიტში თამაშობდა, სადაც ფრანგული პსჟ-დან იჯარის წესით გადავიდა, თუმცა სანკტ პეტერბურგული გუნდის მესვეურებმა სერბთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვეს და ზამთარში კეჟმანი პსჟ-ს დაუბრუნდება. ფრანგები არ მალავენ, რომ მატეიას პარიზულ გუნდში სათამაშო პრაქტიკა არ ექნება და ფეხბურთელის გასხვისებას ლამობენ.

### სკოლარიმ "იუვე" იუარა

ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ლიუშ ფელიპე სკოლარიმ, რომელიც ამჟამად უზბეკეთის ბუნედკორს უდგას სათავეში, ტურინის იუვენტუსის ხელმძღვანელობას გუნდის გაწვრთნაზე უარი უთხრა.

იუვენტუსისგან წინადადება მართლაც მივიღე, რომელზეც უარი ვთქვი. ბუნედკორში მუშაობით კმაყოფილი ვარ და აქ ყველა პირობა მაქვს შექმნილი. ამიტომ, როგორი საინტერესო შეთავაზებაც არ უნდა მივიღო, უზბეკეთში კონტრაქტის ამოწურვამდე დავრჩები , - განუცხადა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მომგებმა მწვრთნელმა ბუნედკორის ოფიციალურ ვებ-გვერდს.

რა იყო სკოლარის უარის მიზეზი არ კონკრეტდება, თუმცა მარტივი ლოგიკა გვკარნახობს იმას, რომ ბრაზილიელმა წმინდა ფინანსური მოსაზრებების გამო თქვა უარი ტურინულ გრანდში გადასვლაზე. საქმე ისაა, რომ სკოლარიმდე იუვეს მესვეურები გუს ჰიდინკთან მართავდნენ მოლაპარაკებას და იტალიური მასმედიის ინფორმაციით, ჰოლანდიელთან მოლაპარაკება ფინანსური მხარის შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა. ჰიდინკს რუსეთის ნაკრებში გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე იუვენტუსს აქვს საშუალება. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ უზბეკურ გუნდში სკოლარის ჰიდინკზე დიდი ხელფასი აქვს, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ ვერ დაითანხმებს ბებერი ქალბატონის მესვეურებმა სკოლარი მუშაობაზე.

### რონალდინიოს "ბოტაფოგოში" იწვევენ

ბრაზილიურ კლუბ ბოტაფოგოს მილანის ვარსკვლავ რონალდინიოს გადაბირება სურს. აღსანიშნავია, რომ სეზონის ბოლომდე "გაუჩო" აუცილებლად მილანში ითამაშებს და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი მისი სამშობლოში დაბ-

# რაგბის წლის ლ




*ლევან მაისაშვილი საქართველოს საუკეთესო მწვრთნელია*

ფილარმონიაში გამართულ სპორტსმენთა წლევანდელ დაჯილდოების გალა-საღამოზე საქართველოს რაგბის კავშირი წლის საუკეთესო ფედერაციად აღიარეს და არც გაემტყუნებათ. შეიძლება ითქვას, რომ გაწეული მუშაობის მასშტაბებით თუ ვიმსჯელებთ, რაგბის კავშირი მისაბაძი მაგალითია ქართული სპორტული საზოგადოებისთვის.

ქართული რაგბის წარმატებულ სეზონზე გუშინ მორაგბეთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზეც ისაუბრეს. "წელი მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა. რა თქმა უნდა, იყო პრობლემებიც და ძალიან მტკივნეული მარცხიც, ვგულისხმობ ზაფხულში "ჩერჩილის" თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდის გამოსვლას. იქ მართლაც ვაჩვენეთ, როგორ არ უნდა ითამაშო რაგბი და ეს ჩვენთვის გაკვეთილი იქნება, მაგრამ მთლიანობაში წელი წარმატებული იყო ქართული რაგბისთვის - განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ-

გვირგვინი კი ეროვნულ სტადიონზე გამართული შეხვედრა იყო, სადაც საქართველოს ნაკრებმა არგენტინელი "იაგუარები" დაამარცხა და რაგბის ირგვლივ გულშემატკივართა კონსოლიდაცია ახალი ძალით მოახდინა.

სწორედ ამ მიღწევებს უკავშირებს გია ნიჟარაძე ერთიან, კოორდინირებულ თანამშრომლობას და მადლობას უხდის სპონსორებსა და იმ ადამიანებს, ვინც გვერდში ამოუდგა საქართველოს რაგბის კავშირს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა "ქართუს ფონდის" საქმიანობას, რომელიც არნახულ ძალისხმევას ახმარს ქართული რაგბის განვითარებას.

"მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო "ქართუს ფონდის" ხელმძღვანელობას რომელმაც არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთა. მან რაგბის კავშირისთვის ორი ავტობუსი შეიძინა და როგორც იქნა, გვეღირსა საკუთარი ავტობუსები. ეროვნული ნაკრების მოთამაშეებს უნაზღაურებს იმ თანხას, რასაც ისინი ნაკრებში



*ირაკლი*

ლეჩხუ
ჩა. იქ
დინარ
თვის 
ლება 
ბის რ
მდე გა
ში სუ
და თქ
მართუ
რომ გ
იძლებ
სწორე
ლა და
მავალ
მეურნ
ნაცხად
პრეზი

გია
შემდე
დაჯილ

**ერ**
**ბრ**

"ლოკ
ტივს
მიერ
კავში
დიდმ

**ვერ**
თუმ X
ბათიმ
დასცა
"ქართ

# ჭოხონელიძეს "მილანის" დატოვება გაუჭირდა

ერთ დროს იგი მილანში მუშაობდა და ამ კლუბში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაც გახლდათ, ამჟამად იგი კიევის დინამოს გენერალური დირექტორია. სწორედ მის სახელს უკავშირდება ანდრეი შევჩენკოსა და კახა კალაძის ტრანსფერები მილანში .

ალბათ, ხვდებით საუბარია რეზო ჭოხონელიძეზე, რომელიც მისივე თქმით, კიევის დინამოში ევროპული მენტალიტეტის დანერგვას ცდილობს. უკრაინულ გამოცემა სპორტ უიკენდთან საუბარში ჭოხონელიძემ მილანში მუშაობის ეპოქაც გაიხსენა.



ამჟამად ჩემი მუშაობა ძირითადად სამწვრთნელო შტაბს უკავშირდება, თუმცა ამავდროულად ფეხბურთელებთანაც მიწევს ურთიერთობა და ვზრუნავ მათ ფუნქციონალურ მზადყოფნაზე. მსურს კიევის დინამოს ევროპული მენტალიტეტი ჩამოვუყალიბო, რომელიც მე მილანში მუშაობისას შემექმნა. თავის დროზე დინამოს სათავეში ვალერი ლობანოვსკი ედგა. მან გუნდში მთელი სისტემა ჩამოაყალიბა. სამწუხაროდ ლობანოვსკის სიკვდილის შემდეგ ამ სისტემას საკმაოდ ბევრი ბზარი გაუჩნდა.

ლობანოვსკის შემდეგ მოსულ არც ერთ მწვრთნელს არ გამოუვიდა მისი შედეგების გამეორება და ეს ალბათ, შეუძლებელიცაა. ლობანოვსკის საკუთარი ხედვა ჰქონდა, ფეხბურთელებთან მიდგომის თავისებური მეთოდი. მას შეეძლო მომავლის განჭვრეტა. ხოლო ისინი, ვინც მის შემდეგ მოვიდნენ, ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ და ლობანოვსკისგან მხოლოდ ქედმაღლობა გადმოიღეს. იგორ მიხაილოვიჩ სურკისი ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ჩემს დაყაბულებას, რათა დინამოში მუშაობაზე დავთანხმებულიყავი და დავხმარებოდი მას თანამედროვე საფეხბურთო სტურუქტურის შექმნაში.

იცით ფეხბურთი ისეთი საქმეა, რომ ყველამ ყველაფერი იცის. ჰკითხეთ ნებისმიერ გამვლელს და მას თავი საფეხბურთო სპეციალისტი ჰგონია, რეალობაში კი როგორ უნდა გაკეთდეს საქმე, მხოლოდ ერთი ორმა თუ იცის. მაგალითისთვის უკრაინისა და რუსეთის ჩემპიონატებიც კმარა. ორივე ჩემპიონატში მომუშავე მაღალი დონის მწვრთნელების ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითებიც იკმარებს, ეს კი ძალიან ცოტაა. ასე პროგრესი შეუძლებელია. აი მივიდა ზენიტში დიკ ადვოკაატი და კლუბმა ერთბაშად შეძლო მნიშვნელოვანი წარმატებებ[...]
მიღწევა.

თქვენ ვერც კი წარმოგი[...]
გენიათ რას ნიშნავს წახვი[...]
ისეთი კლუბიდან როგორ[...]
მილანია . მახსოვს, როცა რ[...]
სონერიში სამუშაოდ მივე[...]
მითხრეს: კეთილი იყოს შ[...]
მობრძანება ჩვენს ოჯახშ[...]
ამის შემდეგ ჩემდამი ყოველ[...]
ვის კარგი დამოკიდებულ[...]
იყო, ჩემს აზრს ანგარიშს უწ[...]
დნენ, თუმცა ყველაფერს მ[...]
წავლიდნენ და საბედნიერ[...]
საბოლოოდ საბჭოური მენტ[...]
ლიტეტი ევროპულით შემიც[...]
ლეს. ის გამოცდილება, რო[...]
ლიც მილანში შევიძინე შ[...]
ფასებელია. მილანში ყვე[...]
ფერი საათივით არის აწყო[...]
ლი. თითოეულ თანამშრომე[...]
თავისი საქმე აქვს და ამ საქ[...]
უმაღლეს დონეზე აკეთებს.

თავად გუნდის სტრუქტ[...]
რა კი რადიკალურად განსხვ[...]
დება ყოველივე იმისგან, რ[...]
მე კლუბში მისვლამდე მქონ[...]
ნანახი. ყოველივე ამას მოაქ[...]
შედეგი. ბოლო წლების განმ[...]
ლობაში მილანმა მოიგო ყ[...]
ლაფერი რისი მოგებაც შეს[...]
ლებელია. საკონტინენტთაშ[...]
რისო თასი, ევროპული თასე[...]
იტალიის თასი და "სკუდეტ[...]
ამ ტიტულების უმეტესობა [...]
შინ არის მოგებული, როდეს[...]
კლუბში ვმუშაობდი. ამიტ[...]
ჩემთვის მილანიდან წასვ[...]
გარკვეულწილად ფსიქოლოგ[...]
ური დრამაც გახლდათ ,[...]
აცხადებს ჭოხონელიძე.

# ალექს ფერგიუსონი: "ჰიუზი დაბრუნდება"

მანჩესტერ სიტის მესვეურებმა საშობაოდ მარკ ჰიუზს მეტად ორიგინალური საჩუქარი მოუმზადეს და სამუშაოს გარეშე დატოვეს. ქალაქელთა მთავარ მწვრთნელად რობერტო მანჩინი დაინიშა, სიტიში მომხდარ ცვლილებებზე მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვთრნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ისაუბრა, რომელსაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს მარკ ჰიუზთან.



**- სერ ალექს, რას ფიქრობთ რობერტო მანჩინის მანჩესტერ სიტის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ?**

- პირველ რიგში, მინდა მანჩინის წარმატებები ვუსურვო, მაგრამ არა მგონია, იტალიელ-

# სუპერლიგის სუპერხუთი

ზურაბ თალაკვაძე

ჩვენი ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი, ანუ სუპერლიგა წლიდან წლამდე იხვეწება და საკმაოდ დინამიური, საინტერესო სანახავი ხდება. რამდენიმე საკმაოდ ძლიერი მოთამაშის მოსაკლისების მიუხედავად (დავით უგრეხელიძე, ლაშა გამყრელიძე, მიხეილ ბერიშვილი და პირველ რიგში, ვატო ნაცვლიშვილი), სუპერლიგა წელსაც ნორმალური სანახავია. მოთამაშეებიც ისე გადანაწილდნენ გუნდებში, რომ ჩემპიონობისთვის საბოლოოდ არა ერთი-ორი, არამედ მინიმუმ სამი-ოთხი გუნდი იომებს და ინტრიგაც უფრო წონიანი გვექნება.

ბევრი მოთამაშე ჯერ ბოლომდე ვერ ავლენს თავის საუკეთესო თვისებებს, მაგრამ ყველა სათამაშო რგოლში საუკეთესოების დასახელება მაინც შეიძლება. ეს არ ყოფილა გამოკითხვა. უბრალოდ, 24 საათმა თავისი ხუთეული და სათადარიგო შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც აქვე გთავაზობთ.



დავით უსტიაშვილმა "ბათუმი" ფავორიტებში შეიყვანა

## უკანა ხაზი

### გიორგი გაფრინდაშვილი (თსუ)

თსუ წლევანდელ სეზონში ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და მიუხედავად იმისა, რომ გიორგი გაფრინდაშვილს რეგულარულში სამი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა, მის გარეშე სტუდენტებს პრობლემები შეექმნებოდათ. წრიპა დღესაც მაგარი სწრაფი, გუნდური მოთამაშეა, რომელმაც გამოასწორა შორეული ტყორცნა, ნაკლებ შეცდომას უშვებს და დაცვაშიც ბევრად უკეთესია, ვიდრე წინა სეზონებში. პასებში მასზე (და ყველაზე) კარგი მაჩვენებელი აქვს სასოფლოს პლეიმეიქერს ბექა წივწივაძეს, თუმცა ამ უკანასკნელის თამაშში ჯერჯერობით ბევრი წუნია, ხოლო სუპერლიგის სამგზის საუკეთესოს, ენერჯის ლიდერ კოტე ტულუშს კი ტრავმის გამო ოპტიმალური კონდიციებისთვის ჯერ არ მიუკაკუნებია. ასე რომ, ამ ეტაპზე გამთამაშებლებში პირველია გაფრინდაშვილი.

**ალტერნატივა:** ბექა წივწივაძე (სსაუ)

### გიორგი ნიკოლაძე (შსს)

ჩემპიონატის საუკეთესო მექულე (ამ ეტაპზე) თითქმის 22 ქულით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალწვეული გიორგი ნიკოლაძეა. ბათუმში მისი გამოსვლა შორს იყო იდეალურისგან, თუმცა გუნდი ჯერ დასალაგებელია და უმრავლესობის აზრით, როგორც კი შსს დალაგდება, ჩემპიონობისთვის ბრძოლაც რეალური იქნება. ნიკოლაძეს არ დაუკარგავს სისწრაფე, კვლავ ბევრ ჯარი-

და გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონია. ბაბუ ერთ მატჩში საშუალოდ თითქმის ორმაგ დუბლს აგროვებს, ქულების მხრივ (18.5) თავის გუნდში პირველ, მთლიანად სუპერლიგაში კი მეშვიდე პოზიციაზეა. გადახალისებულ, ახალგაზრდა ენერჯიში ბაბიაშვილი ტულუშთან და ჟულივეტ ტუჯანთან ერთად ყველაზე გამოცდილია და ლიდერის ფუნქციებსაც მშვენივრად ითავსებს. ზვიადმა თავისი საუკეთესო შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის წინააღმდეგ ჩაატარა, რომელშიც 29 ქულა დააგროვა და დაცვაშიც მაგრად იდგა. ბაბიაშვილის დაცვა დღესაც შორსაა იდეალურისგან, თუმცა სხვა კომპონენტებში აშკარად საუკეთესოთა შორის იმყოფება. დავით იმნაძეს ბაბიაშვილზე კარგი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ საერთო ჯამში ბათუმის ფორვარდ-ცენტრზე კარგი სეზონი მაინც ენერჯის წევრს აქვს.

**ალტერნატივა:** დავით იმნაძე (ბათუმი)

### დავით ბარბაქაძე (თსუ)

თსუ-ს წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი დავით ბარბაქაძეა. უფროსი ველურა უცენტრო გუნდში ხშირად მეხუთე ნომერს თამაშობს, თუმცა ძირითადად მაინც გარეთ ამოდის და პერიმეტრიდან უტევს. დათოს ბლომად სამიანიც აქვს ჩაგდებული და მასზე საკმაოდ ხშირადაც ჯარიმდებიან. ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ათლეტური მოთამაშე გამორჩეული უნივერსალია, რომელსაც ხშირად მესამე, მეოთხე ნომერზეც ათამაშებენ და ბარბაქაძეც თავს იქ უფრო კომფორტულად გრძნობს. დათოს საფირმო ნიშანი, ანუ სუპერლიგაში ყველაზე ეფექტური სლემები დღესაც სახეზეა, მაგ-

კარგი სეზონი აქვს ბათუმის ცენტრს პლასიდე როდუმტას, რომელმაც კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა შსს-ს წინააღმდეგ ჩაატარა. პლასმა ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში ათივე (!) საჯარიმო გამოიყენა და პირველი ტაიმის ბოლოს მუხლის ტრავმა რომ არ მიეღო, თავისუფლად გადალახავდა 30-ქულიან ზღვარს. როდუმტა სტაბილურია, მაგრამ გუნდისთვის უფრო მეტს აკეთებს ენერჯის ცენტრი ჟულივეტ ტუჯანი. თანაც, ჟულის როდუმტაზე უკეთესი დაცვა აქვს და სწრაფ შეტევაშიც მასზე ბევრად სახიფათოა. გუნდიდან დავით უგრეხელიძის წასვლის მერე ტუჯანი სასტარტოს უცვლელ წევრად იქცა და მშვენივრად თამაშობს. რამდენიმე ძალიან კარგი შეხვედრა ჩაატარა სასოფლოს ცენტრმა რეზო ათანელიშვილმაც, რამდენიმე ორმაგი დუბლი გააკეთა შსს-ს მაღალმა ვლადიმერ სუხიშვილმაც, თუმცა ტუჯანივით სტაბილური და დომინანტი მაღალი წელს სუპერლიგაში ნამდვილად არ ყოფილა.

**ალტერნატივა:** პლასიდე როდუმტა (ბათუმი)

### მთავარი მწვრთნელი: დავით უსტიაშვილი (ბათუმი)

ბათუმი პირველ ოთხეულშია და მოთამაშეებისადმი პატივისცემის მი-



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება (მისამართი ქ. ზესტაფონი აკ. წერეთლის ქუჩა №11) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სკოლამ-
დელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. სკოლამდელი აღზრდის 42 დაწესებულებისათვის მისაწოდებელია შემდეგი სახისა და რაოდენობის კვების პროდუქტები.

**ჩანართი**

| | № | პროდუქტების დასახელება | ზომის ერთეული | სატენდერო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მისაწოდებე-ლი რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| **ლოტი №1** | 1 | პური (ხორბლის) | კგ. | 39316 |
| | 2 | ჩაი | კგ. | 200 |
| | 3 | კარაქი | კგ. | 5133 |
| | 4 | შაქარი | კგ. | 7273 |
| | 5 | შედ. რძე | კგ. | 5043 |
| | 6 | კარტოფილი | კგ. | 33340 |
| | 7 | ზეთი | კგ. | 2000 |
| | 8 | კაკაო | კგ. | 87 |
| | 9 | მარილი | კგ. | 1178 |
| **ლოტი №2** | 10 | პურ. ფქვილი | კგ. | 1335 |
| | 11 | დროჟი | კგ. | 7 |
| | 12 | მანი | კგ. | 3173 |
| | 13 | ტომატი | კგ. | 1330 |
| | 14 | ხახვი | კგ. | 3214 |
| | 15 | მწვანილი | კგ. | 521 |
| | 16 | ბრინჯი | კგ. | 2102 |
| | 17 | მაკარონი | კგ. | 2781 |
| | 18 | ვერმიშელი | კგ. | 2565 |
| | 19 | კომბოსტო | კგ. | 5571 |
| | 20 | სტაფილო | კგ. | 1035 |
| | 21 | ჭარხალი | კგ. | 869 |
| | 22 | ორცხობილა | კგ. | 722 |
| | 23 | კვერცხი | ცალი | 9870 |
| **ლოტი №3** | 24 | ხორცი | კგ. | 1652 |
| | 25 | წიწიბურა | კგ. | 8052 |
| | 26 | ლობიო | კგ. | 559 |
| | 27 | კამფეტი | კგ. | 400 |
| | 28 | კისელი | კგ. | 261 |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

სკოლამდელი აღზრდის თითოეული დაწესებულებისათვის მისაწოდებელი პროდუქ-ტების კონკრეტული რაოდენობა დაზუსტდება დეკადური განცხადების საფუძველზე.

3. საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარა-უდოდ 2010 წლის 19 იანვრიდან) 2010 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2010 წლის 18 იანვარს 15 საათამდე.
5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე, 2010 წლის 15 იანვარს 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი აკ. წერეთლის ქუჩა №11, გამგეობის შენობა მე-3 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა)ცნობა, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რე-გისტრაციის ადგილის მიხედვით.)
ბ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან.)
გ) ცნობა იურიდიული პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმო-დგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგა-ნოს მიერ.)
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული და ფიზიკური პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.)
ბ) ინფორმაციას კვების პროდუქტების მიწოდებისათვის გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშულებებისა და კვების პროდუქტების შესანახი სასაწყობო მეურნეობის შესახებ.

**შენიშვნა:** სამუშაოების შესასრულებლად სუბ. კონტრაქტორების აყვანის შემთხვე-ვაში ტენდერში მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით.
7. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200(ორას) ლარს. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება სახელმწიფო ხაზინა: 220101222, ანგარიშის №200122900. სატენდერო მოსაკრებლის კოდი 300193174.

გადახდის დანიშნულება ____ ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კვების პროდუქტების მოწოდების სატენდერო მოსაკრებელი..
8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. ტენდერის შედეგად ლოტების მიხედვით გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
9. პრეტენდენტს უფლება აქვს ადგილზე გაეცნოს სატენდერო წინადადებას მოსაკრებლის გადახდამდე.
10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტის სახით) ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით, თუ პრეტენდენტის წარმოდგენილ წინადადებაში არსებული თანხა გადააჭარბებს 200 000 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ჟუჟუნა კუსიანი — გაერთიანების აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი — 5-28-58. მობ. 899-26-44-58.

მისამართი ქ. ზესტაფონი აკ. წერეთლის ქუჩა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**სატენდერო კომისია**

---

**ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპი**
**GEORGIAN-TURKISH JOINT COMPANY BLACK SEA GROUP**

B. S. GROUP

თბილისი
21/12/2009

**განაცხადი საზღვაო კონტეინერის შესყიდვაზე 24 საათში**

თურქულ-ქართულ კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს საზღვაო კონტეინერის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გვსურს შევისყიდოთ ახალი ან მეორადი კარგ მდგომარეობაში მყოფი საზღვაო კონტეინერი

20 ტონიანი – 1 ცალი;
40 ტონიანი – 4 ცალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"-ს შესყიდვების მენჯერს მათე ოქროპირიძეს (877) 990 304 ან ზაზა ცხადაძეს (877) 504002 ან ჯემალ შერვაშიძეს (877) 990110.

გმადლობთ

---

## განცხადება

2010 წლის 19 თებერვალს, 11 საათზე, შპს „ორთაჭალჰე-სი-2007"-ის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, იალ-ბუზის ქ. №2), გაიმართება ორთაჭალის ჰიდროელექტრო-სადგურის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შე-ფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის მიზანია ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქ-მიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:
- შპს „ორთაჭალჰესი-2007"-ის ადმინისტრაციულ შენო-ბაში - ქ. თბილისი, იალბუზის ქ. №2;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა"-ს ოფისში - ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდ-გენის ვადაა 2010 წლის 14 თებერვლის 18 საათამდე.

შპს „ორთაჭალჰესი-2007"-ის ადმინისტრაცია

# ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" მეორე ეტაპის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო პირობები

**1. შესავალი**

1. წინამდებარე წესი და საკონკურსო პირობები შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 ივლისის N121 დადგენილებით დამტკიცებული ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" (შემდეგში "პროგრამა"), ,,საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის $23^{1}$-ე მუხლის ,,ი" ქვეპუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კონკურსის გამოცხადების მიზანია: ძველი თბილისის რეაბილიტაცია, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება და ძველი თბილისის აღდგენისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროცესში ბანკების მონაწილეობის წინაპირობების შექმნა.

**2. კონკურსის ჩატარების პირობები**

1. პროგრამის განასახორციელებლად კონკურსს აცხადებს ქ. თბილისის მთავრობა.
2. პროგრამის განმახორციელებელი კომისია (შემდგომში "კომისია") უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 ივლისის N121 დადგენილებით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.
3. კომისიის წევრს უფლება აქვს:
3.1. დააყენოს კომისიის სხდომებზე საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და ამ საკითხებისათვის კენჭის ყრაში;
3.2. კომისიის გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი.
4. კომისიის წევრი ვალდებულია:
4.1. მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;
4.2. შეასრულოს კომისიის დავალებები და დაიცვას წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები;
4.3. წარმოუდგინოს კომისიას ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ;
4.4. კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კომისიის სხდომებზე განსახილველ საკითხთა კონფიდენციალობა.
5. კომისიის წევრებს შეიძლება მიეცეთ აცილება საკითხის განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება კომისიაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით; ასეთ შემთხვევებში კომისიის წევრს აქვს თვითაცილების უფლებაც.
6. კომისიის თავმჯდომარე:
6.1. ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას, იწვევს და უძღვება კომისიის სხდომებს;
6.2. კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების საქმიანობას;
6.3. ხელს აწერს კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნებსა და წინადადებებს, კომისიის სხდომების ოქმებს;
6.4. იწვევს კომისიის სხდომებს, დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს;
6.5. კომისიის სახელით აწარმოებს სამსახურებრივ მიმოწერას;
6.6. კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის, საჭიროების შემთხვევაში, იწვევს სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს;
6.7. აკონტროლებს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
6.8. ახორციელებს კომისიის მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს;
6.9. ასრულებს კომისიის წარმომადგენლობით ფუნქციას;
6.10. ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.
7. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი მისი დავალებით.
8. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.
9. კომისიის მდივანი:
9.1. განაგებს კომისიის საქმისწარმოებას, კომისიის ოქმებს ხელმოსაწერად წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს;
9.2. კომისიაზე განსახილველ საკითხებს ურიგებს კომისიის წევრებს, უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და მის დამუშავებას.
9.3. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.
10. კომისიის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე.
11. კომისიის სხდომის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელშიც აღინიშნება კომისიის გადაწყვეტილება განხილულ საკითხებზე და რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.
12. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც.

**3. კონკურსის მოქმედების ტერიტორიები**

1. კონკურსი ცხადდება:
1.1. დანართ N1–ში წარმოდგენილ საზღვრებში;
1.2. დანართი N2–ში წარმოდგენილ ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვან არეალებში;

**4. კონკურსის მონაწილეები**

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კვალიფიციურ მენაშენეს და კვალიფიციურ საფინანსო ორგანიზაციას.
2. ამ წესების მიზნებისათვის კვალიფიციურ მენაშენედ ითვლება იურიდიული პირი ან ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ან სამეწარმეო ამხანაგობა (შემდგომში "პრეტენდენტი"), რომელიც შემდეგი პირობებიდან აკმაყოფილებს ერთ–ერთს მაინც:
2.1. კონკურსის გამოცხადების დღისთვის ფლობს მრავალბინიანი ან მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის ნებართვას თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში;
2.2. კონკურსის გამოცხადების დღისთვის თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებობს იმ ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ) ან საცხოვრებელი სახლების კომპლექსის შეთანხმებული პროექტი, სადაც მდებარეობს ასეთი შენობა და ამ ტერიტორიაზე არსებულ თუნდაც ერთ მრავალბინიან ან მრავალფუნქციურ შენობაზე გააჩნია მშენებლობის ნებართვა;
2.3. კონკურსის ჩატარების დღისთვის ფლობს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მრავალბინიანი ან მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის ნებართვას, რომელშიც შეიძლება გადაიყვანოს გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები.
3. ამ წესების მიზნებისათვის კვალიფიციურ საფინანსო ორგანიზაციად (შემდგომში "საფინანსო ორგანიზაცია") ითვლება:
3.1. საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ყველა კომერციული ბანკი;
3.2. უცხოური ბანკი, რომელსაც კრედიტუნარიანობის შეფასების წამყვანი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BBB და უფრო მაღალი რეიტინგი.
3.3. საერთაშორისო ან ადგილობრივი საფინანსო ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს, გარანტიას საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკიდან.
4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ერთდროულად 2 ან მეტ კვალიფიციურ მენაშენეს;
5. წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ საფინანსო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ცალ-ცალკე ასევე ერთობლივად.

**5. წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:
1.1. იურიდიულმა პირმა:
1.1.1. იურიდიული პირის რეკვიზიტები;
1.1.2. წესდების ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
1.1.3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
1.1.4. უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილება კონკურსში მონაწილეობის თანხმობაზე;
1.1.5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
1.1.6. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
1.1.7. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
1.2. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობამ:
1.2.1. ამხანაგობის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლი ნოტარიალურად დამოწმებული;
1.2.2. კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე ამხანაგობის წევრთა გადაწყვეტილების ოქმი, ნოტარიალურად დამოწმებული;
1.2.3. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
1.3. სამეწარმეო ამხანაგობამ:
1.3.1. სამეწარმეო ამხანაგობის რეკვიზიტები;
1.3.2. სამეწარმეო ამხანაგობის რეგისტრაციის დამადასტურებელი აქტი ნოტარიალურად დამოწმებული;
1.3.3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
1.3.4. უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილება კონკურსში მონაწილეობის თანხმობაზე;
1.3.5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება სამეწარმეო ამხანაგობის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
1.3.6. ცნობა სასამართლოდან, რომ სამეწარმეო ამხანაგობის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
1.3.7. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, სამეწარმეო ამხანაგობის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
1.4. მე–4 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრულმა პრეტენდენტმა – მშენებლობის ნებართვა ამ შენობაზე.
1.5. მე–4 მუხლის 2.2. პუნქტით განსაზღვრულმა პრეტენდენტმა – ამ განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) / საცხოვრებელი სახლების კომპლექსის შეთანხმებული პროექტის საფუძველზე თუნდაც ერთ ამ შენობაზე გაცემული მშენებლობის ნებართვა.
1.6. მე–4 მუხლის 2.3. პუნქტით განსაზღვრულმა პრეტენდენტმა – ამ შენობის რეკონსტრუქციის ნებართვა.
1.7. ყველა პრეტენდენტმა:
1.7.1. დოკუმენტაციის წარმოდგენის მომენტისათვის გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ მესაკუთრისათვის შესათავაზებელი შენობა–ნაგებობის მდგომარეობის ამსახველი ფოტო და ტექსტური მასალა;
1.7.2. საკადასტრო რუკა გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის შესათავაზებელ შენობა–ნაგებობაზე;
1.7.3. ხელშეკრულება პრეტენდენტსა და საფინანსო ორგანიზაციას შორის ან საფინანსო ორგანიზაციის წერილობითი თანხმობა, რომელიც უნდა ადასტურებდეს საფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებას გასცეს კრედიტი მენაშენის სახელზე პროექტის დაფინანსების შემთხვევაში.
1.7.4. წინამდებარე წესის მე-4 მუხლის 3.2. პუნქტი გათვალისწინებული საფინანსო ორგანიზაციის BBB და უფრო მაღალი რეიტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, იმ შემთხვევისთვის როცა ასეთი საფინანსო ორგანიზაცია არის პრეტენდენტის პარტნიორი პროგრამის განხორციელებაში.
1.7.5. ქართული კომერციული ბანკის მიერ გაცემული წერილობითი თანხმობა წინამდებარე წესის მე–4 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებულ საფინანსო ორგანიზაციაზე, მასზედ რომ პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში აღნიშნულ საფინანსო ორგანიზაციაზე ბანკი გასცემს გარანტიას პროქტის დაფინანსებისათვის საჭირო თანხაზე. აღნიშნული საჭირო იქნება იმ შემთხვევისთვის როცა ასეთი საფინანსო ორგანიზაცია არის პრეტენდენტის პარტნიორი პროგრამის განხორციელებაში.
1.7.6. გამოსათავისუფლებელ მიწის ნაკვეთებზე სრულად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი და საკადასტრო რუკა. მიწის ნაკვეთი სრულად რეგისტრირებულად არ ითვლება თუ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემებიდან, ან ნებისმიერი სხვა წყაროდან ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ რეგისტრაციაზე კონკრეტულ პირს შეუძლია განაცხადოს პრეტენზია ან ამონაწერიდან ჩანს რომ თანამესაკუთრე დაუდგენელია.
1.7.7. სამკვიდრო მოწმობის ასლი, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრედ რეგისტრირებულ პირს საკუთრება მიღებული აქვს მემკვიდრეობით;
1.7.8. გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა პირადობის მოწმობის ასლები ან რეკვიზიტები იურიდიული პირის შემთხვევაში.
1.7.9. პრეტენდენტსა და მესაკუთრეს შორის გაფორმებული და სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:
ა) ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იყოს ერთი საკადასტრო ერთეულის ყველა მესაკუთრესთან; იმ შემთხვევაში თუ ამ საკადასტრო ერთეულზე ყველა მესაკუთრის მონაწილეობით შექმნილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, შესაძლებელია ამ ხელშეკრულების სანცვლოდ წარმოდგენილი იქნეს ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობასთან. ასეთ შემთხვევაში, დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის

შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მისი სახელით ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
ბ) მესაკუთრე იღებს უფლებრივად უნაკლო ახალ ფართს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობების ან მათ გარეშე, სანაცვლოდ (უსასყიდლოდ);
გ) ახალი ფართის სანაცვლოდ (უსასყიდლოდ) პრეტენდენტი საკუთრებაში იღებს მესაკუთრის უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთს, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობებით ან მათ გარეშე;
დ) მესაკუთრე, პრეტენდენტს, თავის მიწის ნაკვეთს მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად ან მათ გარეშე, გადასცემს ახალი ფართის მიღებისთანავე;
ე) პრეტენდენტის უფლებას მესაკუთრის თანხმობის გარეშე განახორციელოს მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობებით ან მათ გარეშე, მოთხოვნის დათმობა მესამე პირის სასარგებლოდ;
ვ) პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, პრეტენდენტსა და მესაკუთრეს შორის გაფორმებული ხელშკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
ზ) მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობების ან მათ გარეშე, გასხვისების შემთხვევაში, მესაკუთრის ვალდებულებას, გაასხვისოს ის იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
თ) მესაკუთრის უფლების არ ქონას, მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობები ან მათ გარეშე, გაასხვისოს პრეტენდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.
1.7.10. საბანკო გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მასზედ რომ გამარჯვების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსებიდან 3 თვეში, იგივე თანხად (რეალურ გამოხატულებაში) შეიძენს მის მიერ შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთს, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობებით ან მათ გარეშე, ქალაქ თბილისის მთავრობისაგან.
1.8. გამოსათავისუფლებული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (მისამართი) და დაზუსტებული საკადასტრო ფართობი.
1.9. მოსათხოვნი ფასი ერთი საკადასატრო ერთეულის 1 კვ.მ.-ზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში.
2. პრეტენდენტს კონკურსში შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ გამოსათავისუფლებელი მიწის ის ნაკვეთები, სადაც თითეულ საკადასტრო ერთეულზე, კონკურსის გამოცხადებისათვის განლაგებულია შენობა–ნაგებობა ან მისი ნარჩენები და ამ საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებულია არანაკლებ სამი მესაკუთრე.
3. იმ შემთხვევაში, როცა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთის, მასზე განლაგებული შენობა–ნაგებობებით ან მათ გარეშე თანამესაკუთრე არის თბილისის თვითმმართველობა ან სახელმწიფო, მათ მიმართ პრეტენდენტისათვის არ მოითხოვება ამ წესებით სხვა მესაკუთრეებისათვის განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილება და ამ მიწის ნაკვეთის შესაბამისი წილი არ გაითვალისწინება გამოსათავისუფლებელი მიწის ნაკვეთის ფართის სიდიდეში.
4. მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში  პრეტენდენტი ვალდებულია დააზუსტოს თვითმმართველი ერთეულის ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული   მიწის ნაკვეთის შესაბამისი წილი  და ისე წარმოადგინოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
5. გამოსათავისუფლებელ მიწის ნაკვეთზე პრეტენდენტმა ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს:
5.1. ცალ-ცალკე, თითეული საკადასტრო ერთეულის მიხედვით;
5.2.  თუ რომელიმე საკადასტრო ერთეული ხვდება ნორმატიული ფასების  სხვადასხვა საზღვრებში, მიწის ნაკვეთის ფართობი წარმოდგენილი უნდა იყოს თითეული ამ საზღვრის მიხედვით;
5.3. თუ რომელიმე საკადასტრო ერთეული ხვდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის სხვადასხვა საზღვრებში, მიწის ნაკვეთის ფართობი წარმოდგენილი უნდა იყოს თითეული ამ საზღვრის მიხედვით;
5.4. თუ რომელ შემოთავაზებულ საკადასტრო ერთეულზე მდებარეობს ძეგლის სტატუსის მქონე შენობა–ნაგებობა, როგორი ნორმატიული ფასისა და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საზღვრებში;
5.5. შემოთავაზებული საკადასტრო ერთეულებიდან რომელი მდებარეობს ქალაქის განვითრებისათვის მნიშვნელოვან არეალში.
6. პრეტენდენტსა და მესაკუთრეს შორის გაფორმებული ხელშკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ურთიერთვალდებულებები დამოუკიდებელია პროექტის დაფინანსებიდან წარმოშობილი ქ. თბილისის მთავრობის ვალდებულებებისაგან პრეტენდენტის წინაშე;
7. ინფორმაცია გამოსათავისუფლებელ ფართზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N3-ის შესაბამისად.

**6. კონკურსის ორგანიზება**
1. განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს 2010 წლის 15 აპრილის 13:00 საათამდე  ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურში შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, შარტავა ქ. N7,  მე–5 სართული, ტელ: 378 365
2. კომისია უფლებამოსილია გააგრძელოს განაცხადების მიღების ვადა, დააზუსტოს კონკურსის პირობები ან დაადგინოს დამატებითი. ცვლილებები მტკიცდება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.
3. განაცხადი შეიცავს:
3.1. განცხადებას (დანართი N4) მონაწილეობის შესახებ;
3.2. განაცხადის შემომტანი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს;
3.3.  ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან
3.4. პირადობის მოწმობის ქსერო ასლს;
3.5. წინამდებარე წესით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას დალუქულ ორ კონვერტში
4. კონვერტი N1 მოიცავს მე–5 მუხლის 1.1–1.8. პუნქტებში ჩამოთვლილ ინფორმაციას.
5. კონვერტი N2 მოიცავს მე–5 მუხლის პუნქტ 1.9.–ში აღნიშნულ ინფორმაციას.
6. პრეტენდენტს უფლება აქვს N2 კონვერტით წარმოადგინოს:
6.1. ცალკეული საკადასტრო ერთეულის 1კვ.მ–ზე მოსათხოვნი ფასი. ამ შემთხვევაში:
ა) ეს დახურული კონვერტები მოთავსებული უნდა იქნეს კონვერტ N2–ში;
ბ) გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ მიიღება თითეულ ამ საკადასტრო ერთეულის მიხედვით.
6.2. რამდენიმე საკადასტრო ერთეულზე ერთად 1კვ.მ–ზე მოსათხოვნი ფასი. ამ შემთხვევაში;
ა)  რამდენიმე საკადასტრო ერთეულზე ერთად 1კვ.მ–ზე მოსათხოვნი ფასი (შემდეგში „საშუალო ფასი“) მიიღება თითეული საკადასატრო ერთულის ფასების ჯამის შეფარდებით ამ საკადასტრო ერთეულების ფართობების ჯამზე;
ბ) გადაწყვეტილება დაფინანსების შესახებ მიიღება ყველა საკადასტრო ერთეულზე ერთად;
გ) დისკონტირებული ფასი იანგარიშება ერთიანად ყველა საკადასტრო ერთეულზე.
7. კონვერტ N2–ში ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს 1კვ.მ.–ზე მოსათხოვნი ფასის დისკონტირებული ფასები დანართი N5–ის შესაბამისად, თავისი გაანგარიშებით.
8. კონკურსის ჩატარების თარიღი დგინდება ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ.
9. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, თბილისის მერიის შენობა.
10. კონკურსის პირველი ეტაპი მოიცავს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი კონვერტი N1–ის გახსნას.
11. კონკურსის მეორე ეტაპი მოიცავს: პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტი N2–ის გახსნას. კონვერტებით წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლას და კომისიის მიერ გამარჯვებულის გამოვლენას.
12. თუ წარმოდგენილი განაცხადი, ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება მონაწილეებს მოსთხოვოს მონაცემების შემოწმება ან დაზუსტება არაუმეტეს ათი სამუშო დღის განმავლობაში.
13.  კომისიის გადაწყვეტილებით დახურული კონვერტები N1 და N2  შეიძლება გაიხსნას ერთდროულად ან კომისიამ სხვა დრო დათქვას კონვერტი N2 გახსნისათვის.
14. გამარჯვებული გამოვლინდება პრეტენდენტის მიერ წამოდგენილი დაზუსტებული მონაცემების  კომისიის  მონაცემებთნ შედარების შედეგად.
15. კომისია განსაზღვრავს:
ა) 1მ2-ზე გადასახდელი დისკონტირებული  ღირებულების ზღვარს;
ბ) ამ კონკურსით, პროექტის დაფინანსების ზღვრულ ჯამურ თანხას.
16. კონკურსის გამარჯვებული (შემდგომში „გამარჯვებული“) გამოვლინდება პრეტენდენტის მიერ კონვერტი N2–ით წარმოდგენილი დანართი N5-ის შესაბამისად 1 კვ. მ.-ზე მოსათხოვნი ფასის დისკონტირებული ფასების გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. გარდა იმ შემთხვევისა როდესაც, კომისიას დადგენილი აქვს მონაცემების დაზუსტებისა და შემოწმებისათვის გამოსწორების ვადა. მაშინ გამარჯვებული ვლინდება ამ ვადის გასვლის შემდეგ.
17. კონკურსის შედეგები მტკიცდება ქ. თბილისის მთავრობის მიერ.

**7. გამარჯვებულის გამოვლენა**
1. გამარჯვებული ვლინდება კომისიის მიერ დახურულ კონვერტში განსაზღვრული 1მ2-ზე გადასახდელი დისკონტირებული  ღირებულების ზღვარის, დაფინანსების ზღვრული ჯამური თანხისა და პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული დაბალი დისკონტირებული ფასების მიხედვით (გამოთავისუფლებული მიწის კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით).
2.  დისკონტირებული ფასი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$M=P:(1+R^{*}X):(1+K^{*}Y):I:H$$

სადაც:
M  არის  დისკონტირებული ფასი (მიწის კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით);
P - კონკურსში მონაწილის მიერ მიწის 1კვ.მ-ზე შემოთავაზებული ფასი;
R – პროექტის მოქმედების ტერიტორიაზე შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე არსებული ნორმატიული ფასის ფარდობა ამ ტერიტორიაზე არსებულ ყველაზე დაბალ ნორმატიულ ფასზე;
X - R-ის შესწორების კოეფიციენტი, რომელიც უდრის 0.1–ს;
K - პროექტის მოქმედების ტერიტორიაზე შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე არსებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ფარდობა ამ ტერიტორიაზე არსებულ განაშენიანების ინტენსივობის ყველაზე დაბალ კოეფიციენტზე;
Y - K-ს შესწორების კოეფიციენტი, რომელიც უდრის 0.05–ს;
I - პროექტის ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვან არეალში განხორციელების ინდექსი, რომელიც უდრის 1.1;
H - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა–ნაგებობის ინდექსი, რომელიც უდრის 1.1;
3. იმ შემთხვევაში თუ:
3.1. საკადასტრო ერთული ხვდება ნორმატიული ფასების სხვადასხვა საზღვრებში, ამ შემთხვევაში ამ მუხლის მე–2 პუნქტში მოცემული ფორმულისთვის შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე ნორმატიული ფასი გამოიანგარიშება შემდეგნაირად: თითეული ნორმატიული ფასი გამრავლდება მის შესაბამის ფართზე, დაჯამდება მიღებული შედეგები და გაიყოფა ამ საკადასტრო ერთეულის  საერთო ფართობზე;
3.2. საკადასტრო ერთული ხვდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის სხვადასხვა საზღვრებში, ამ შემთხვევაში ამ მუხლის მე–2 პუნქტში მოცემული ფორმულისთვის შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გამოიანგარიშება შემდეგნაირად: თითეული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გამრავლდება მის შესაბამის ფართზე, დაჯამდება მიღებული შედეგები და გაიყოფა ამ საკადასტრო ერთეულის  საერთო ფართობზე;
3.3. პრეტენდენტის მიერ რამდენიმე გამოსათავისუფლებელი საკადასტრო ერთული წარმოდგენილია ერთიანობაში, დისკონტირებული ფასის (M) გამოანგარიშებისას შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე ნორმატიული ფასი  გამოიანგარიშება ისე, როგორც ეს არის აღწერილი ამ მუხლის 3.1. პუნქტში, ხოლო  შემოთავაზებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი  – ისე, როგორც ეს არის აღწერილი ამ მუხლის 3.2. პუნქტში;
3.4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულებიდან მხოლოდ ნაწილი მდებარეობს ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვან არეალში,  I კოეფიციენტი გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ამ საკადასტრო ერთეულების დისკონტირებულ ფასში ან ამ საკადასტრო ერთეულების დოსკონიტრებული ფასის ნაწილში;
3.5. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო ერთეულებიდან მხოლოდ ნაწილში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა–ნაგებობა H კოეფიციენტი გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ამ საკადასტრო ერთეულების დისკონტირებულ ფასში ან ამ საკადასტრო ერთეულების დოსკონიტრებული ფასის ნაწილში;
4. კონკურსისათვის ნორმატიული ფასები და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები მოცემულია შესაბამისად დანართ N6-სა და დანართ N7–ში.
5. კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენად ერთმანეთს შედარდება დაფინანსების ზღვრული ჯამური თანხა და პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ჯამური თანხა.
6. იმ შემთხვევაში თუ დაფინანსების ზღვრული ჯამური თანხა მეტია პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ჯამურ თანხაზე, დაფინანსდება ყველა წარმოდგენილი წინადადება, რომელშიც პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული დაბალი დისკონტირებული ფასი ნაკლები იქნება 1 მ2-ზე გადასახდელ დისკონტირებულ ზღვრულ ღირებულებაზე.
7. იმ შემთხვევაში თუ დაფინანსების ზღვრული ჯამური თანხა ნაკლებია პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ ჯამურ თანხაზე, დასაფინანსებული პროექტები შეირჩევა შემდეგნაირად:
7.1. გამოირიცხება ის შემოთვაზებები, რომლებშიც პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული დაბალი დისკონტირებული ფასი მეტი იქნება 1 მ2-ზე გადასახდელი დისკონტირებულ ზღვრულ  ღირებულებაზე;
7.2. პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებული ფასები რანჟირებული იქნება ამ მუხლის მეორე პუნქტში მოცემული ფორმულით;
7.3. გამარჯვებულად გამოცხადდებიან ის პრეტენდენტები,  რომლებიც რანჟირებისას მიიღებენ ყველაზე დაბალ ქულებს და რომელთა წინადადებების ჯამური თანხაც არაუმეტესი იქნება დაფინანსების ზღვრულ ჯამურ თანხაზე.
